ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

ერთობლივი ნომერი

საქართველოს რესპუბლიკა №193 (2566)

№12 (11068) 11 – 17 აგვისტო 1997 წელი ფასი 40 თეთრი (თბილისს გარეთ 45 თეთრი)




## აფხაზეთში 5 წლის წინათ დაწყებული ომი საქართველოსთვის კატასტროფული შედეგებით დასრულდა.

გვ. 2-5



## ჩავაბაროთ ჩვენი ლტოლვილები მკვლევებად... არქინბას?

გვ. 5

## ქართული დიპლომატია ფრთხილად უნდა იყოს

გვ. 5

# სუიციდი

გვ. 6-7

## კვირის სუპერფრაზები

*ორშაბათიდან ორშაბათამდე*

„საქართველო პიროვნებებს არ ეკუთვნის. საქართველო არც აღმაშენებლის ყოფილა, არც გორგასლის, არც თამარის, არამედ პირიქით – ჩვენ ყველანი საქართველოსი ვართ".

**შალვა ნათელაშვილი,**
პარლამენტარი.

„როცა პრეზიდენტს ატყუებს მმართველი პარტია, ის პარტია არ უნდა ფინანსდებოდეს. საქართველოში ბევრი ისეთი რამ ხდება, რაც პრეზიდენტმა არ იცის. მმართველ პარტიას, როგორც ჩანს, არ სურს მისთვის ინფორმაციის მიწოდება. და ვწუხვარ, რომ პრეზიდენტის დაცვა მე მიხდება. რატომ უნდა ვიცავდე პრეზიდენტს მე, როცა მას თავისი პარტია ჰყავს".

**ვახტანგ რჩეულიშვილი,**
პარლამენტარი.

„გამომძიებლები მუშაობენ დიდი წნეხის ქვეშ. საკმარისია, ფულიანი კაცის საქმე მოხვდეს პროკურატურაში, რომ იწყება დიდი ზეწოლა. გამომძიებელი მარტო რჩება მილიონების მფლობელის წინაშე. ამ დროს ის სახელმწიფოს მხარდაჭერას ვერ გრძნობს".

**ჯამლეთ ბაბილაშვილი,**
საქართველოს გენერალური პროკურორი.

„მე მგონია, ირინა სარიშვილს საერთოდ არ გააჩნია აზრი. ის იმას აკეთებს, რასაც ზემოდან კარნახობენ".

**ბორის კაკუბავა,**
პარლამენტარი.

„სულაც არ არის გასაკვირი, იმ ვიღაცას ედუარდ შევარდნაძის თავიდან მოშორება სურდეს, განსაკუთრებით ბოლო დროს, როდესაც მან აშკარა პროდასავლური პოლიტიკის გატარება დაიწყო. ამავე დროს, შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე თავისი შერყეული მდგომარეობის გამაგრებას ცდილობს. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ახლო მომავალში მინისტრი „იპოვის" ტერაქტის მომზადებაში მონაწილე რამდენიმე ეჭმიტანილს, რომლებიც ყველაფერს აღიარებენ".

**ირინა სარიშვილი,**
პარლამენტარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ივერიელი
გამოდის 1921 წლიდან.
დამფუძნებელია გაზეთის კოლექტივი.

დირექტორი
მერაბ ბალარჯიშვილი
რედაქტორი
გიგლა გობეჩია
რედაქტორის მოადგილე
რუსუდან ლებანიძე
პასუხისმგებელი მდივანი
ნუკრი ბერიძე

განყოფილებები:
საპოლიტიკო – დავით ცაგარეიშვილი, თამარ ოთიაშვილი, ნონა ბურნაძე.
ინფორმაციისა და სოციალური საკითხების – ნინო ლურსმანაშვილი, მარინე ლონაძე.
ეკონომიკის – ნატა სალუქვაძე.
კრიმინალის – ია მაჭავარიანი, მაია სალირაშვილი.
საზოგადოების – მაია თუნზია, ბრიგიტა შიუკაშვილი.
კულტურის – მიმოზა კვირკვია.
მენეჯერი – ლალი ხმიადაშვილი
რეკლამა-განცხადებების – ჯულიეტა ონიანი.
ფოტო-ილუსტრაციის – ჯავარ ლომაძე.
კორექტორები – მანანა დაუშვილი, ლელა ბუცხრიკიძე

გაზეთი რეგისტრირებულია მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
რეგისტრაციის № 20483868

გამომცემელი შპს „პრესა“

აიწყო და დაკაბადონდა „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესის“ კომპიუტერულ ცენტრში

დაიბეჭდა საგაზეთო კორპუსში

რედაქციის მისამართია:
თბილისი, 380096,
მ. კოსტავას ქ. №14
ტელ. 93-31-49; 93-31-48;
93-31-56; 99-00-49

გაზეთი არ გამოხატავს რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისს და მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

შესაძლოა გაზეთში გამოთქმული მოსაზრება არ დაემთხვეს რედაქციისას.

ავტორები თვითონ აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტებისა და ციტატების სიზუსტეზე.

# დასჭირდებათ დევნილებს ხელახალი ყრილობის ჩატარება ერთ თვეში თუ?..

მოვლენა



8-9 აგვისტოს თბილისში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა დევნილთა საყოველთაო ყრილობა, თუმცა მას მხოლოდ აფხაზეთიდან დევნილები ესწრებოდნენ. ყრილობამ, რომლის ჩატარების ინიციატორები იყვნენ საკოორდინაციო საბჭო და საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“ თავი მოუყარა 2.500-მდე დელეგატს. მიუხედავად 4 წლიანი უმოქმედობისა, თვალნათელი გახდა, რომ აფხაზეთის დაბრუნების მიჩქმალული პოტენცია იმალება ყველასაგან უარყოფილ დევნილთა მოძრაობაში.

ყრილობის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნას.

უპოვარი თანამემამულეების წინაშე წარმდგარმა საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთის“ თავმჯდომარემ გერმანე ფაცაციამ დევნილთა ყრილობას ტრაგიკულის კვალიფიკაცია მისცა და უარყო თვალსაზრისი, თითქოს ყრილობა მთავრობის მიერ იყო მოწყობილი. ყრილობა ელოდა, პრეზიდენტი თავისი მოსვლით თუ არა მიმართვით მაინც გამოხატავდა თავის პოზიციას დევნილთა შესახებ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ფაცაციამ უარყოფითად შეაფასა „აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების“ მეორე ეტაპის გადატანა ჟენევაში, რომელზეც საქართველოს მეგობარმა ქვეყნებმა აღიარეს „აფხაზეთში პოლიტიკური გარდაქმნები და იქ არსებული დემოკრატიული პრინციპები“. მისი თქმით, ყრილობა ფრაქცია „აფხაზეთის“ მიერ დაწყებული პოლიტიკური აქციის მე-3 ეტაპია და თუ არ მიიღებს გადამწყვეტ ზომებს, მე-20 საუკუნის ბოლოს დევნილები საკუთარ პანაშვიდს დაესწრებიან.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა აფხაზეთში დაბრუნების ერთადერთ გზად ძალისმიერი მეთოდების გამოყენება მიიჩნია. რუსეთის სამშვიდობო ძალების გასვლის შემთხვევაში, არსებობს რამდენიმე მოსალოდნელი ვარიანტი: 1. რუსეთის სამშვიდობო ძალები შეიცვალოს გაეროს ჯარებით, 2. ისინი შეცვალონ დსთ-ს ქვეყნების ჯარებმა და 3. რუსეთის სამშვიდობო მისიის ადგილი დაიკავოს აფხაზეთის ძალისმიერმა სტრუქტურებმა. ამ ვარიანტებიდან ნადარეიშვილის აზრით, მისაღებია მესამე, რომლის ავტორი თავად უმაღლესი საბჭოა.

რუსეთის სამშვიდობო მისიის ღვაწლის შეფასებისას თამაზ ნადარეიშვილმა აღნიშნა, რომ ეს ის ძალებია, რომლებიც ომის დროს ქართველების წინააღმდეგ იბრძოდნენ და დღეს იცავენ აფხაზების მიერ მოპოვებულ დამოუკიდებლობას, ცნობილია სამშვიდობო ძალების კომერციული საქმიანობა. მათ მიერ ტონობით გაზიდული ხე-ტყის, ალუმინის, რკინა-სპილენძის შესახებ. სამშვიდობო მისიის აღსრულების დროს გალის რაიონში 1200 მშვიდობიანი მოსახლე დაიხვრიტა. რუსეთის სამშვიდობო ძალებმა საქართველოს წინაშე ჩაიდინეს მძიმე დანაშაული, ამდენად მათ საქართველოს ტერიტორია უნდა დატოვონ.

* * *

9 აგვისტოს ყრილობამ დილიდანვე განაახლა მუშაობა. გაგრელმა ლტოლვილმა ნოდარ ხუნდაძემ თავის გამოსვლაში საყვედური გამოთქვა საქართველოს ტელევიზიისადმი, რომელმაც დევნილთა ყრილობა ისე მიაფუჩეჩა, თითქოს კოლმეურნეობის კრებაზე ყოფილიყოს საუბარი. დევნილებმა მოითხოვეს საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის აუცილებელი დასწრება. ხელისუფლებას გამოექომაგა თამაზ ნადარეიშვილი. მისი აზრით, დღევანდელი პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე აფხაზეთთან მიმართებაში თავიანთი პოზიციებიდან გამომდინარე, ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებენ.

საკოორდინაციო საბჭოს წევრმა, პარლამენტარმა ბორის კაკუბავამ შეურაცხმყოფელი უწოდა ბრალდებას, თითქოს ყრილობას ხელისუფლების „სუნი ასდის“. ის ხელისუფლება, რომელსაც ბრალი მიუძღვის სოხუმის დაკარგვასა და 300.000 ქართველის დევნილად ქცევაში, აქ არ მოვა. მასთან ომს კი ჩვენ ვერ შევძლებთ. ხელისუფლებასთან ომი აფხაზეთს გვაშორებს. ამიტომ საჭიროა, გავერთიანდეთ, შევუნდოთ ერთმანეთს, ურთიერთწყენა „დავაკონსერვოთ“ და თუ აუცილებელია აფხაზეთში ჩასვლისას მოვკითხოთ ერთმანეთს მოსაკითხი“, – განაცხადა კაკუბავამ.

ყრილობამ ყველას უნდა დაუმტკიცოს, რომ დევნილები მოწესრიგებული ხალხი ვართ, არ გვაინტერესებს დესტაბილიზაცია და განურჩევლად ჩვენი დანაშაულისა და ცოდვისა, ერთად ვართ. კაკუბავამ მოუწოდა 15-დან 60 წლამდე მამაკაცებს, საჭიროების შემთხვევაში დამდგარიყვნენ მათთან მასიური პარტიზანული მოძრაობის გასაჩაღებლად.

ყრილობის დუნე მსვლელობა დაარღვია დევნილთა კავშირის წევრმა გია წურწუმიამ. დელეგატების დაჟინებული თხოვნით, მას სიტყვა მისცეს. აფხაზეთის ომში მონაწილე ახალგაზრდა მეომარი ექიმის შეუფარავმა ნაამბობმა ომის ნიუანსებზე, ხელისუფლების მხრიდან ქართველი მეომრების წინაშე ჩადენილ მიუტევებელ დანაშაულზე, დელეგატთა „აღფრთოვანება“ გამოიწვია. გამომსვლელმა მოითხოვა პარტიზანების დაფინანსება, მხარდაჭერა და არა 100-100 ლარის დარიგება, რაც მათ დასამარხავად არ იყო საკმარისი. წურწუმიამ „მეომარი ბიჭების“ სახელით უნდობლობა გამოუცხადა ყრილობის მომწყობთ და განაცხადა: „იმ გენერლებთან, რომლებმაც ჩვენ გაგვყიდეს, ომში არ წავალთო“.

აფხაზეთის მინისტრთა საბჭო უკანასკნელი შეუერთდა დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს. მისმა თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ თანამემამულეებს ეროვნული თანხმობისაკენ მოუწოდა და დაარწმუნა იმაში, რომ 21-ე საუკუნეში ქართველები თავაწეულნი შევლენ.

გერმანე ფაცაციამ მისი გამოსვლის პოეტური მხარის მიმართ გამოთქმული შენიშვნების საპასუხოდ აღნიშნა, რომ ის „დემიან ბედნია“ და პუშკინისა და ლერმონტოვის აზროვნების კრიტერიუმს ვერ შეწვდება. მანვე ყრილობას გადასცა ჩეჩნეთის პრეზიდენტის წარმომადგენლის ოფიციალური მხარდაჭერა ყრილობისადმი.

შაოსანი დედის ნაირა კალანდიას მონაყოლმა დარბაზს ჟრუანტელი მოჰგვარა მას თვალწინ დაუცხრილეს 17 წლის შვილი. შემდეგ კი რუსეთის ტელევიზიით აფხაზ დედად გამოიყვანეს. ხელებშებორკილ ქალს აყურებინეს, როგორ ყრიდნენ ქართველ ბიჭებს ცოცხლად ჭაში, მათ კვნესაც არ ამოხდომიათ. შემდეგ ჩაის ფაბრიკაში ცალი ფეხით ჩამოკიდეს და ცოცხლად დაწვა დაუპირეს. მის თვალწინ გააუპატიურეს ქართველი გოგონები და ეს ყველაფერი იმისათვის, რომ ის ქართველი იყო.

ყრილობას და დევნილებს თანადგომა გამოუცხადეს პარლამენტარმა ვანო ხუხუნაიშვილმა და ნაციონალური ლიგის ერთობის თავმჯდომარემ გია მამალაძემ. დროა, აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა ეკითხებოდეს მას, ვისაც ყველაზე მეტად უნდა ეკითხებოდეს იგი – განაცხადეს მათ.

საქართველოს დევნილთა ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც 14 პუნქტისაგან შედგება.

ყრილობამ დაადგინა: აფხაზეთი და ყოფილი „სამხრეთ ოსეთი“ გამოცხადდეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად. რუსეთის ჯარებს საქართველოში მიეცეს საოკუპაციო ჯარის სტატუსი. საქართველოში არსებულმა რუსეთის ყველა სამხედრო შენაერთმა, რადგანაც მათი სამშვიდობო მისია ჩაიშალა, დატოვოს საქართველოს ტერიტორია.

დევნილთა ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციას დაამტკიცებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სხდომა, შემდეგ კი წარედგინება საქართველოს პარლამენტს. თუ პარლამენტი ერთი თვის განმავლობაში არ მიიღებს შესაბამის ზომებს დევნილთა ყრილობა ერთ თვეში კვლავ გაიმართება.

**ბრიგიტა შიუკაშვილი**



## ამბავში ჩაწნეხილი კვირა

**4–10 აგვისტო**

ვაკის რაიონის სასამართლომ (მოსამართლე ვალენტინა გაგუა) არ დააკმაყოფილა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების სარჩელი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე უკანონოდ არსებული სამხედრო პოლიგონის ფუნქციის შეწყვეტისა და მისი სხვაგან გადატანის თაობაზე.

* * *

ბოლო ორი კვირის მანძილზე თბილისში მეორედ ჩამოვიდა ჩეჩნეთის ვიცე-პრემიერი ახმედ ზაკაევი, რომელიც შევარდნაძე-მასხადოვის შესაძლო შეხვედრისა და სხვა მიმდინარე საკითხებს განიხილავდა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებთან საუბარში.

* * *

გაიმართა საქართველოს პროკურატურის გაფართოებული კოლეგიის სხდომა, რომელზეც პირველად იქნა გამოტანილი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სანქცია-გაცემულ და ამჟამად ძებნაში მყოფ დამნაშავეთა ძებნის მდგომარეობა.

* * *

შეჯამდა ნულოვანი აუქციონის პირველი შედეგები, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ბიუჯეტში 5 მილიონამდე ლარი შევიდა.

* * *

საქართველოში რამდენიმე დღე სტუმრობდა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, ამერიკის სამხედრო შტაბების უფროსების გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი ჯონ შალიკაშვილი.

* * *

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა ვლადისლავ არძინბამ აკრძალა საქართველოდან სურსათ-სანოვაგის შეტანა, რადგან, მისი თქმით, მათი ხარისხი არადამაკმაყოფილებელია და იგი საფრთხეს უქმნის იქაურ მოსახლეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომენტარი/პროგნოზი

**აფხაზეთი — მსოფლიო გავლენის ეპიცენტრი;**
**აფხაზეთი — სეპარატისტული ომის მშობელი;**
**აფხაზეთი — ათასობით დევნილ და ჩამქრალ სიცოცხლეთა ნავსაყუდელი;**
**აფხაზეთი — მავანთათვის სისხლისღვრის კერა...**



*ლევან ალექსიძე:*

# „აფხაზეთის გასაღები მოსკოვშია, ანუ არძინბას გულწრფელობის არ მჯერა"

*საკმაოდ მტკივნეული და მრავალფეროვანია აფხაზეთის საკითხი, მისი გუშინდელი, დღევანდელი და ხვალინდელი დღე ერთნაირად ცხოველ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში. მოლაპარაკებები, შეთანხმებები, ჩაშლილი ხელშეკრულებების პროექტები... პრაქტიკულად ყველაფერი უცვლელი რჩება. აღნიშნულ პრობლემაზე კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს პრეზიდენტის მთავარ მრჩეველს საერთაშორისო სამართლის საკითხებში, პროფესორ ლევან ალექსიძეს.*

*– რამ განაპირობა აფხაზეთში ომის დაწყება?*

– 1922 წლიდან – საბჭოთა რუსეთის მიერ აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის შექმნიდან მისი ლიდერები ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების ხელში როგორც იარაღი, ისე გამოიყენებოდნენ. როგორც კი საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ეროვნული მოძრაობა დაიწყო, ასე ვთქვათ, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც მსგავსი პროცესები განვითარდა, რაც აშკარად მოსკოვიდან იყო ორკესტრირებული. 1988 წლიდან ჩაბმული ვარ აფხაზეთთან მოლაპარაკებებში. კარგად მახსოვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის დარბევა, ანტიქართული ინტერესების გაღვივება და ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი მოსახლეობის პასიურობა. პოლიტიკურ დაძაბულობასთან ერთად აფხაზეთში თავი იჩინა რადიკალურმა აფხაზურ-რუსულ-სომხურმა მიმართულებამ, რასაც ხელი შეუწყო ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერთა მოსკოვის სპეცსამსახურებთან მჭიდრო კავშირმა. პარალელურად გრძელდებოდა ისეთი კანონების მიღება, რომლებიც პრაქტიკულად აუქმებდნენ საქართველოს იურისდიქციას რეგიონში. რუსეთის სამხედრო ნაწილების ვითომდა ძარცვის საშუალებით მიმდინარეობდა გამალებული შეიარაღება, ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების ინტენსიური ჩამოყვანა. ყოველივე ამის შემდეგ, საქართველოს მთავრობა ცდილობდა მათი დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვა მშვიდობიანად გადაეწყვიტა, მაგრამ დასავლეთ საქართველოში მომხდარმა ამბებმა, მთელი აფხაზეთის ჩათვლით, დივერსიების, ხალხის გატაცების (მათ შორის მთავრობის წევრების) ფაქტებმა რეგიონის პარალიზება გამოიწვია. არძინბას რამდენჯერმე სთხოვეს, უზრუნველეყო აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო მაგისტრალების, პირველ რიგში, რკინიგზის უსაფრთხოება. არძინბამ პრაქტიკულად ხელები გაასავსავა.

1992 წლის იანვარში საქართველოს ჯარი ფსოუმდე მივიდა და მდგომარეობას აკონტროლებდა. წესრიგის დამყარების შემდეგ, თებერვალში საქართველოს ხელისუფლებამ ჯარები გამოიყვანა. აგვისტოსათვის მდგომარეობა შეიცვალა – აფხაზეთში მძევლებად უკვე ორმოცამდე ქართველი იმყოფებოდა. სამხედრო საბჭოს სხდომაზე სახელმწიფოს მეთაურმა დასვა საკითხი საჯარისო ფორმირებების დისლოკაციის შეცვლის შესახებ. ისინი უნდა განლაგებულიყვნენ სამ ძირითად პუნქტში და გაეკონტროლებინათ აფხაზეთის მაგისტრალი. მართალია, ამის შესახებ იცოდა არძინბამ, მაგრამ, სამწუხაროდ, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ მას ზუსტი დრო არ შეუთანხმა – ჯარს წინ პოლიციელები მიუძღოდნენ. მოხდა შეტაკება, ორი დაიღუპა, რამდენიმე დაიჭრა... სწორედ ამან შეუწყო ხელი სეპარატისტებს კონფლიქტის გაღვივებაში. რასაკვირველია, არძინბასთან შეთანხმება არ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიის ორ მესამედს ვაკონტროლებდით, მაინც დავთანხმდით მოლაპარაკებაზე, იგი შედგა 3 სექტემბერს მოსკოვში, ხელი მოეწერა შეთანხმებას შეიარაღებული დაპირისპირების შესახებ. ოქტომბერში – აფხაზების, სომხების, ჩრდილოკავკასიელებისა და რუსი ბოევიკებისაგან შემდგარმა „ინტერნაციონალურმა" ჯარმა იერიში მიიტანა გაგრაზე...

აღსანიშნავია, რომ ქართული საჯარისო ფორმირებები საერთაშორისო ინტერვენციას ებრძოდა – ყოველი 10 მეომრიდან 2 აფხაზი ეროვნების იყო. აღარაფერს ვამბობ შეიარაღებაზე – უახლესი საბრძოლო ტექნიკა აფხაზთათვის მხოლოდ შორეული ოცნება იყო. ვინ ბომბავდა სოხუმს? დღეს რუსეთში ბევრს ლაპარაკობენ, თითქოს ისინი უამრავ თანხას ხარჯავენ სამშვიდობო ჯარების შესანახად, რომლებიც კონფლიქტურ ზონებში მშვიდობის დაცვას ემსახურებიან. მაგრამ რომ არა რუსეთის კონფლიქტში ჩარევა, ამდენი უბედურება არ შეგვხვდებოდა. ეს არ იყო ომის წაგება აფხაზებთან, საქართველო დამარცხდა რუსეთის აგრესიის შედეგად. თუმცა გამარჯვების ეიფორია აფხაზეთს დიდხანს არ გაჰყვება.

ჩემის ღრმა რწმენით, აფხაზეთში შესვლა აუცილებელი იყო, მაგრამ დასაწყისშივე დაშვებულმა შეცდომებმა სეპარატისტებს საშუალება მისცა მოუმზადებელი საქართველო სისხლიან კონფლიქტში ჩაეთრიათ.

*– ზოგი ამბობს, აფხაზეთის გასაღები ამერიკაში დევსო, ზოგი – აფხაზეთში, მოსკოვში, თბილისში... თქვენის აზრით, სად დევს იგი?*

– მე მიმაჩნია, რომ – მოსკოვში! აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები დაკავშირებული არიან რუსეთის სპეცსამსახურებთან, რეაქციულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო წრეებთან. მარტო რუსეთის დუმის გადაწყვეტილებები რად ღირს.

რუსეთი ძლევამოსილი ქვეყანაა და სხვადასხვა ხრიკებით ყოველთვის შეუძლია ახალი კონფლიქტების გაღვივება, მით უმეტეს, მას არ მოსწონს საქართველოში დამყარებული სტაბილურობა – უცხოური კაპიტალის შემოსვლის ინტენსივობა, წამყვან სატრანზიტო რგოლად ქცევა, აღარაფერს ვამბობ ნავთობსადენის ბედის შესახებ. პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთს შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს სეპარატისტებზე და აიძულოს ისინი ხელი აიღონ ამბიციებზე. სამწუხაროდ, დღემდე ეს არ ხდებოდა – მოსკოვის მიერ შემუშავებული პროექტები საქართველოს სუვერენულ ინტერესებს არ პასუხობდნენ და მოითხოვდნენ ჩვენგან კონფედერაციის შექმნის ფაქტის აღიარებას.

რასაკვირველია, დასავლეთს ბევრი შეუძლია მორალური, პოლიტიკური დახმარების თვალსაზრისით. ნათელი მაგალითია გაეროს უშიშროების საბჭოს, ეუთოს გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით „საქართველოს მეგობრების" (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია) წადილი, ხელი შეუწყონ აფხაზეთის კონფლიქტის სწრაფ მოგვარებას მისი ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის პრინციპის გათვალისწინებით. ისინიც კი თვლიან, რომ რუსეთი მოწოდებულია განსაკუთრებული როლი ითამაშოს კონფლიქტის მოგვარებაში. რუსეთი ფორმალურად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველად გვევლინებოდა.

მიმდინარე წლის 1 ივლისს პრეზიდენტ ელცინის განცხადებაში სწორედ ის გასაღები ჩანს, რომლითაც შესაძლებელია აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივის კარი გაიღოს. ამიტომაც იყო, რომ საქართველო იმთავითვე მიესალმა აღნიშნულ განცხადებას...

*– მაგრამ არძინბასაც ხომ არ უარყვია იგი?*

– ეჭვი მეპარება არძინბას გულწრფელობაში. რადგან ამ დებულებებს ჩვენც ვქადაგებდით და ვაწვდიდით გაეროს, ეუთოს, დსთ-ს ქვეყნებს. ახალი მხოლოდ ის გახლავთ, რომ პრეზიდენტ ელცინის განცხადებაში ეს პრინციპები უეცრად და კარგად ჩამოყალიბდა, რაც ქართული დიპლომატიისა და ჟენევაში მოლაპარაკებების რეზონანსის შედეგი უნდა იყოს.

თუმცა,ვიმედოვნებ, რომ სეპარატისტები პრეზიდენტ ელცინის წინადადებას რამენაირად გამოიყენებენ. ეჭვი არ მეპარება, რომ მათ აქტიური მომხრეები მოსკოვშიც აღმოაჩნდებათ, ამიტომ ყველაფერი ერთ დღეში არ მოგვარდება. მომავალი რუსეთის პრეზიდენტს უდიდეს გამოცდას უმზადებს და მან ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მისი დამაიმედებელი განცხადება ლიტონ სიტყვად არ იქცეს.

*– თამაზ ნადარეიშვილი აცხადებს, აფხაზეთში მხოლოდ ბრძოლით თუ შევალთო...*

– მიუხედავად იმისა, რომ თამაზი ჩემი მეგობარია, ჯერჯერობით ვერ დაეთანხმები. ამჯერად ვერ ვხედავ ამ იდეის განხორციელების მომწიფებას. სწორედ ახლა გამოჩნდა გარკვეული იმედები, რომ საკითხი მშვიდობიანად მოგვარდეს. მაგრამ არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ მომავალში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სხვა მეთოდებითაც მოხდეს.

*– ამდენი მოლაპარაკებები, თეორიული გადაწყვეტილებები...პრაქტიკულად კი, არაფერი ხალხისთვის...*

– ამბობენ, რომ გაეროს, ეუთოს გადაწყვეტილებები არის ფარატინა ქაღალდები. პირადად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ დოკუმენტებს, რადგან მათ მორალურ-პოლიტიკური, სამართლებრივი ბაზა შექმნეს, რომლის ჩარჩოებში უნდა მოგვარდეს კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველოში. საკმარისია ითქვას, რომ ამ დოკუმენტებში აღიარებულია 1) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობა სეპარატისტების მიერ დაგმობილი, 2) სეპარატისტების მიერ ეთნიკური წმენდა ქართველთა მიმართ, 3) აფხაზეთის სტატუსი შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ მის ყოფნას, თუნდაც ფართო უფლებებით „საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში".

ფაქტობრივად, ჟენევიდან არავითარი დოკუმენტი არ ჩამოგვიტანია. მაგრამ ყველას ავიწყდება, რომ სწორედ იქ, საერთაშორისო საზოგადოებრიობის წინაშე მოხდა სეპარატისტების მხილება და გამოჩნდა რუსეთის დიპლომატიის მჭიდრო კავშირი დისიდენტურ პოზიციასთან. იგივე ითქმის ფაქტზე, რომ საქართველომ სამშვიდობო ძალებს მანდატი არ გაუგრძელა, მაგრამ არც მათი გასვლა მოითხოვა. ყველაფერი გადაწყდება სექტემბერში, დსთ-ს სამიტზე. ყველაფერმა ისე მოიყარა თავი, რომ რუსეთი პრაქტიკულად ჩიხში აღმოჩნდა, დაუპირისპირდა მსოფლიოს, რომელიც ყველა ასპექტში საქართველოს უჭერს მხარს.

იმედია, პრეზიდენტ ელცინის გარემოცვაში მოიძებნება ხალხი, რომელიც სწორად შეაფასებს ყოველივეს და მიხვდება, რასაც დაკარგავს რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობის გაუარესებით, იმას აფხაზეთი ვერასოდეს შეავსებს.

*– თუ სასექტემბრო იმედებიც დაგვემსხვრევა?!*

– თუ რუსეთი შეეცდება საქართველოს სისხლხორცეული ინტერესების უგულებელყოფას, დარწმუნებული ვარ, სექტემბერში დსთ-ს სამიტზე და იგივე, საქართველოს პარლამენტში სერიოზული დასკვნები იქნება გასაკეთებელი...

ესაუბრა
**მაია სალირაშვილი**

კონფლიქტი

# ფრაქცია „აღორძინება" დატოვეს იმიტომ, რომ...

***ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფრაქცია „ალორძინების" 8 წევრმა, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ედუარდ სურმანიძემ, დეპუტატებმა ლირა თოფურიძემ, არმაზ ახვლედიანმა, თამაზ ბოლქვაძემ, გურამ თურმანიძემ, ალექსანდრე ფალავამ, ვახტანგ შამილაძემ და ნოე ხოზრევანიძემ იდეოლოგიური უთანხმოებისა და პოზიციათა შეუთავსებლობის გამო დატოვეს ფრაქცია.***

***დეპუტატთა აღნიშნულ ჯგუფს ჯერჯერობით გადაწყვეტილი არა აქვს თუ რას მოიმოქმედებენ, როგორ გაფორმდებიან ორგანიზაციულად, ამდენად, ჩვენი საუბარი ფრაქციის ყოფილ წევრთან არმაზ ახვლედიანთან მხოლოდ იმ მიზეზების გარკვევით შემოიფარგლა, რამაც გამოიწვია მათი გამოსვლა ფრაქცია „ალორძინებიდან".***

– ფრაქციაში მუშაობის არსებულმა პრაქტიკამ უკვე დიდი ხანია დააფიქრა ბევრი დეპუტატი. შეიძლება კი დღეს, დემოკრატიული პრინციპებით არჩეულ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ამ მეთოდებით და საერთოდ, ამგვარად მუშაობა? შეიძლება კი სიტყვით აცხადებდე ერთს და საქმით სხვას აკეთებდე? (ნუთუ ეს ახლა გახდა თქვენთვის ცნობილი? – თ.ო.) სწორედ დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფამ აიძულა დეპუტატთა ეს ჯგუფი მიეღოთ აღნიშნული გადაწყვეტილება. უფრო კონკრეტულად კი საქმე ის გახლავთ, რომ ფრაქციის ხელმძღვანელობა ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებებს ფრაქციის წევრებთან შეუთანხმებლად იღებდა, სხვა შემთხვევაში არ ითვალისწინებდა ფრაქციის წევრების აზრს და ეს ყველაფერი ხდებოდა მაშინ, როცა საკითხი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხების გადაწყვეტას ეხებოდა. საპარლამენტო ფრაქცია „ალორძინების" კოალიციაში გაერთიანების შესახებ ბევრმა დეპუტატმა მხოლოდ გაერთიანების შემდეგ გაიგო... რომელი ერთი ჩამოვთვალო, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ, ესეც საკმარისია იმისათვის, რომ გქონდეთ წარმოდგენა, თუ რამ მიგვალებინა ასეთი გადაწყვეტილება.

*– ფაქტია, ეს უსიამოვნებები დავროვდა, დაგროვდა და ბოლოს კულმინაციას მიაღწია. მაინც რა მოხდა, კონკრეტულად რაიმე ფაქტს მოჰყვა თქვენი ეს ნაბიჯი თუ...?*

– ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის ფიქრისა და მსჯელობის შედეგია, ვერ გეტყვით, რომ ყველანი ერთბაშად მივედით ამ დასკვნამდე, იქნებ ვინმე ცოტა ადრე იყო ამ პოზიციაზე, სხვა მოგვიანებით შემოგვიერთდა, მაგრამ დღეს და გუშინ რომ არ მივსულვართ ამ აზრამდე, ეს ცხადია...

*– თქვენი აზრით, რა შეიძლება მოჰყვეს თქვენს მოქმედებას?*

– ვფიქრობ, ამ ნაბიჯით მნიშვნელოვნად შევუწყობთ ხელს საქართველოში და კონკრეტულად აჭარაში დემოკრატიული პროცესების დაწყებას. (მე ვერ ვიტყოდი დაჩქარებას), მეორე მხრივ – აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და საქართველოს, ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობის დაბალანსებასა და ჰარმონიზაციას...

*– რის გაკეთებას აპირებთ?*

– სამოქმედო პროგრამა არსებობს, გავაჩნია საკმაოდ სერიოზული ბაზა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ჯერ უნდა დაიწყოს კონსტრუქციული მსჯელობა სხვადასხვა აზრის გათვალისწინებით. ჩვენ დავიწყებთ მსჯელობას, ვიტყვით სათქმელს, მოვისმენთ სხვის აზრს, გავითვალისწინებთ, თუ ის მისაღები იქნება და ასე ერთობლივად, ერთიანი მონდომებით, ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისა და მისი განმტკიცების ინტერესებიდან გამომდინარე, ეჭვი არ გვეპარება, რომ ხელს შევუწყობთ იმ საერთო საქმეს, რასაც საქართველოს ხვალინდელი სიძლიერე, ჩვენი საყვარელი აჭარის მომავალი წარმატება ჰქვია.

*– ფაქტობრივად, გამოდის, რომ თქვენ ბატონი ასლანის ოპოზიციურ ძალად ყალიბდებით...*

– ჩვენ ვიქნებით ოპოზიციური ძალა ყველა იმ ადამიანის, ჯგუფის თუ ძალისა, რომელიც რაიმე ფორმით შეეწინააღმდეგება საქართველოს ერთიანობასა და მომავალ სიმტკიცეს.

ესაუბრა
**თამარ ოთიაშვილი**

*P. S. თავიდან ცნობილი იყო, რომ ფრაქცია დატოვა პარლამენტარმა ჯემალ მეგრელიძემაც, როგორც შემდეგ გაირკვა, იგი კვლავ დაუბრუნდა „ალორძინების" რიგებს.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# ხელისუფლების მორიგი პარადი, თუ...

## ანუ „ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს"

აფხაზეთი... ერთ დროს საქართველოს განუყოფელი ნაწილი... დღეს?... დღეს ყველაზე მომგებიანი თემა პრესკონფერენციებისა თუ კერძო საუბრების, ყველაფერი რომ გააანალიზო, იფიქრებ, მავანთ და მავანთ სოციალისტური შეჯიბრი გაუმართავთო. ხან ხელისუფლების წარმომადგენლები გვისაბუთებენ თავიანთ მოსაზრებებს, ხანაც ოპოზიცია გვიმტკიცებს თავისი პოზიციის სისწორეს, კონკრეტულად კი საქმეს არაფერი ეშველა, აფხაზეთის დაბრუნების საკითხი კვლავ უპირველესი და უმნიშვნელოვანესია საქართველოს წინაშე არსებული პრობლემების რიგში.

მოსახლეობაში გულგატეხილობის საოცარი სინდრომი მოქმედებს, არაფრის და არავისი სჯერათ. ჩვენი სახელმწიფო მხოლოდ ჰაერით, წყლით, 7 ლარით და სიცრუით ცხოვრობს. საქართველო იმდენად მიეჩვია ქართველი მოსახლეობის დახვრეტის, გაუპატიურების, განჯავაწამების ფაქტებს აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომ რეაგირება აღარ ხდება, აღინიშნება როგორც კრიმინალური ქრონიკა და მორჩა, არავის ამაზე არანაირი განცხადება არ გაუკეთებია, რასაც ადასტურებს თუნდაც ამ დღეებში მომხდარი ფაქტი – 14 ქართველის დახვრეტის შესახებ. სამწუხაროდ, ამასაც შევეჩვევით, შევეჩვევით, რომ არაფერი არაბუნებრივი არ ხდება.... და დღეს საქართველოს ეს არ სტკივა. თურმე თბილისელს თბილისის სატკივარი უნდა აწუხებდეს, აფხაზეთიდან დევნილს აფხაზეთი... აცხადებს ფრაქცია „აფხაზეთის" წევრი (ჯერჯერობით) ბატონი თორნიკე ფიფია და თამაზ ნადარეიშვილის განცხადებაზე ამახვილებს ყურადღებას, თითქოსდა აფხაზეთისთვის ბრძოლა მხოლოდ მათი პრეროგატივაა, ვინც აფხაზეთის მიწაზე დაიბადა და გაიზარდა, „თურმე ჩემი ძირითადი ბრალდება სწორედ ისაა, რომ ასეთი არა ვარ. თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, აფხაზეთის მიწაზე თავისი ლამაზი სიცოცხლე ჟიული შარტავას კი არ უნდა დაეტოვებინა, არამედ ნადარეიშვილს და იმავე ლოგიკით ის უფრო გამოქცეული აფხაზეთის ტერიტორიიდან, ვიდრე ნებისმიერი სხვა".

თორნიკე ფიფია აფხაზეთის დაბრუნების საკითხს ხელისუფლების სათავეში ბატონი ედუარდ შევარდნაძის ყოფნას უკავშირებს და აცხადებს: „სანამ შევარდნაძე იქნება საქართველოს ხელისუფლების სათავეში, იგი აფხაზეთს ან დააბრუნებს ან ვერ დააბრუნებს... აფხაზეთის დაბრუნება და იქიდან რუსის ჯარის გაყვანა თავისთავად ნიშნავს ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას და იმ პარტიებს, რომლებიც მშვენივრად გრძნობენ თავს „საპარლამენტო სითბოში", არავითარი სურვილი არა აქვთ, რომ თავიანთი ბრძოლა აფხაზეთის დასაბრუნებლად, ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას დაუკავშირონ". მისი აზრით, დევნილთა და ლტოლვილთა ყრილობა, რომელიც 8-9 აგვისტოს უნდა ჩატარდეს საქართველოში, მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებს, თუ იგი დასვამს საკითხს ხელისუფლებისადმი ნდობის შესახებ.

ყრილობის ჩატარების ორგანიზატორი აფხაზეთის საკოორდინაციო საბჭო უნდა ყოფილიყო. იდეის ავტორი, თავად ბატონი თორნიკე გახლავთ. ყრილობის მუშაობაში აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას მხოლოდ მონაწილეობა უნდა მიეღო, მაგრამ დღეს დევნილთა და ლტოლვილთა ყრილობის ორგანიზატორებიც და მომწყობნიც ისინი არიან. „ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს" – ამბობს თორნიკე ფიფია და ხელისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით „დამსახურებას" არ უკარგავს. მისი აზრით, შევარდნაძემ წინასწარ კარგად გათვალა ყველაფერი და მისი მითითებით ნადარეიშვილი და ერქვანია, რომლებიც თავიდან წინააღმდეგნი იყვნენ, შემდგომში აქტიურად ჩაებნენ ამ საქმეში და ყრილობის ჩატარების ორგანიზატორებად მოგვევლინენ. ფიფიას განცხადებით, „ამ ყრილობაზე კიდევ ერთხელ დაადასტურებენ, თუ რა ბრძენი პოლიტიკოსი გვყავს ხელისუფლების სათავეში და როგორ უშლიან მას ხელს ფსევდოეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები". მასზე მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო ძალების ყოფნა-არყოფნის საკითხი დაისმება. ყრილობის დელეგატების სია უკვე შედგენილია, იგი წინასწარაა დაგეგმილი და ორგანიზებული, ყველანაირი დოკუმენტი უკვე გამზადებულია. ეს ყრილობა იქნება მშვენიერი პარტიული კონფერენცია თავისი რეზოლუციებით და „ის, რაც ნადარეიშვილისა და ერქვანიას კაბინეტებში დაიგეგმა, არავითარ შემთხვევაში არ იქნება ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული". ხელისუფლებას პანიკურად ეშინია ნებისმიერი თავყრილობის, რომელიც მის მიერ არ არის ორგანიზებული და სწორედ ამიტომ ცდილობს სათავეების ხელში აღებას, „ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით, შევარდნაძემ კიდევ ერთხელ მოგვიგო, ისე, როგორც ეს მოხდა კავკასიური პარლამენტის შემთხვევაში.... სამწუხაროდ, ისევ ჩვენივე ხელით და დახმარებით"...

თორნიკე ფიფიასა და ფრაქცია „აფხაზეთის" შორის სწორედ ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოიშვა გარკვეული წინააღმდეგობა, რადგან ფრაქციის წევრებმა დაიჯერეს, რომ ხელისუფლების მიერ მოწყობილ ყრილობას მათსავე წინააღმდეგ გამოიყენებდნენ... „თუ ყრილობაზე ფრაქცია არ დააყენებს ხელისუფლებისადმი ნდობის საკითხს, მე დავტოვებ მის რიგებს" – განაცხადა თორნიკე ფიფიამ. სხვათა შორის, იგი აპირებს ყრილობაზე გამოსვლას, იქ ვიტყვიო, თუ რა პოლიტიკური სარჩული ჰქონდა აღნიშნული ყრილობის მოწვევას.

ბუნებრივად იბადება კითხვა, მოვლენები აღნიშნული სცენარით რომ განვითარებულიყო, ე.ი. ყრილობის ჩატარების ორგანიზატორი აფხაზეთის საკოორდინაციო საბჭო რომ ყოფილიყო, რა კონკრეტული შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მას? როგორც ბატონი თორნიკე ამბობს, „ეს იქნებოდა საერთო-სახალხო ყრილობა და არა ხელისუფლების მორიგი პარადი...".

თორნიკე ფიფია გვიმტკიცებს, ეს ყველაფერი ყრილობაზე თვალნათლივ გამოჩნდებაო. ვნახოთ... დევნილთა და ლტოლვილთა ყრილობიდან მასალებს გაზეთის ამავე ნომერში შემოგთავაზებთ.

**თამარ ოთიაშვილი**

---

განსჯის ცდა

# აფხაზეთის ომი ხუთი წლის გადასახედიდან

***შეიძლებოდა თუ არა ამ ომის თავიდან აცილება, მზად შევხვდით თუ არა თავსმოხვეულ პროვოკაციას – ამ ერთადერთი კითხვით მივმართეთ რამდენიმე საზოგადო მოღვაწეს, მწერლებს.***

*არჩილ სულაკაური – მწერალი, ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორი:* – ძალიან ძნელია ამ ომის საფუძვლიანი და საბოლოო შეფასება. ყველა დეტალს და ყველა მომენტს გათვალისწინება უნდა და შესწავლა; ამას დრო სჭირდება. ეს ომი უკვე ჩვენი ისტორიის ნაწილს წარმოადგენს. ის, რაც გუშინწინ მოხდა, ისტორიის კუთვნილებაა.

მე პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან მაღალი აზრისა არა ვარ ჩვენს პოლიტიკოსებზე.

მე მიმაჩნია, რომ შეიძლებოდა ამ ომის თავიდან აცილება, ჩვენ რომ უფრო მოქნილი პოლიტიკა გვქონოდა, ჩვენ რომ ამ დღეებს მომზადებულნი შევხვედროდით, ჩვენ კი ვიცოდით, რომ ასეთი დღეები მზადდებოდა, მაგრამ საქართველოში არ აღმოჩნდა პიროვნება, რომელიც იაზროვნებდა სახელმწიფოებრივ დონეზე და თავის გარშემო შემოიკრებდა ყველა იმ წარმონაქმნს, სოკოებივით მომრავლებულ პარტიებს და გონივრულ საგარეო პოლიტიკას გაატარებდა. ამისათვის არ აღმოჩნდა საქართველო მზად, ჩვენ რომ მომზადებულნი შევხვედროდით, რასაც, დღესაც უკვე იმპერიიდან თავის დახსნა ჰქვია, შეგვეძლო სულ სხვაგვარად, უფრო უმტკივნეულო გზით წაგვემართა ჩვენი ცხოვრება. ამიერკავკასიაში მხოლოდ სომხეთმა გამოიჩინა შორსმჭვრეტელობა რუსეთთან მიმართებაში. რუსეთის ფაქტორი ვერ გავითვალისწინეთ, ეს მანქანა, ეს მონსტრი საუკუნეების მანძილზე თავზე რომ გვადგა, მისი დიპლომატია უნდა გვცოდნოდა. (ჩვენ ამის დიდი ხნის გამოცდილება გვქონდა), პოლიტიკა, ქვეპოლიტიკა – იმპერიალისტური ამბიციების ყველა ასპექტი – ესეც ჩვენ არ გავითვალისწინეთ, იმის მაგივრად რომ ამ დროს გავერთიანებულიყავით, დავნაწევრდით, დავუწყეთ ძარცვა, გლეჯა საკუთარ სამშობლოს, საკუთარ ქვეყანას და ბუნებრივი შედეგი იყო – აფხაზეთის ომში დამარცხება.

რუსეთს რომ ვერ მოვერეოდით, ეს თავიდან უნდა გვცოდნოდა. 70 ათას აფხაზთან ომი რა მოსატანია, მაგრამ რუსეთთან ომი დიდი ომი რომ იქნებოდა – ეს უნდა გაგვეთვალისწინებინა და ჩვენ ამ ომის მომგები რომ არ ვიყავით, ესეც უნდა გვცოდნოდა.

ზოგჯერ ასეც ხდება, მოვლენები წინასწარ არის ცნობილი, მაგრამ ამისთვის მზად არა ხარ და ვერ ერევი კარსმომდგარ უბედურებას. ასე რომ, აფხაზეთის ომიც, გარდაუვალი იყო. ისე როგორც, ვთქვათ, საბჭოთა კავშირის დაშლა.

*რევაზ ჭეიშვილი – საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, მწერალი.*

– თუ შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ომი არ იყო მიზანშეწონილი.

*ლევან სანიკიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მწერალი.*

– დიდი შეცდომა იყო ამ ომის დაწყება, შეიძლებოდა არ დაწყებულიყო, დაშვებულია დიდი შეცდომა ისტორიის თვალსაზრისითაც, რადგან არ იყო გათვალისწინებული ჩვენი ისტორიის ანბანიც, რაც იყო ის, რომ ყოველთვის აფხაზეთის კაზუსი იყო ლოკალური; – ეს ყოველთვის მარტო სამეგრელოს პრობლემად რჩებოდა, და აქ ისე გვარდებოდა სადავო საკითხები, თბილისი კი არა, ქუთაისიც ვერ იგებდა; აფხაზეთის საკითხი არასდროს არ ყოფილა საყოველთაო ქართული პრობლემა, ეს ჩვენ გავხადეთ ახლა ასეთად, რადგან ავაოხრეთ, დავაქციეთ, გავძარცვეთ სამეგრელო და მერე შევედით აფხაზეთში. აფხაზეთის ომი ისტორიაში შევა, როგორც რუსეთ-საქართველოს ომი, რუსებმა წაგვაგებინეს:

*ზაზა ბერაია – ალმანახ „რიწის" მთავარი რედაქტორი, მწერალი.*

– ეს ომი ინსპირირებული იყო რუსეთის უშიშროების ძალების მიერ, ყველაფერი მომზადებული იყო თავიდანვე, ეს შესანიშნავად არის გადმოცემული სვეტლანა ჩერვონაიას წიგნში.

ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი იყო ეს ომი, ვის ეგონა აფხაზები და ქართველები თუ ვესროდით ერთმანეთს. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ საქართველოს ჯარის შესვლა აფხაზეთის ტერიტორიაზე პროვოცირებისათვის გამოვაყენებინეთ იმ ძალებს, ვისაც ეს ომი ჰქონდა ჩაფიქრებული, ჩემი აზრით, კი, ჯარების შესვლით არაფერი დაშავებულა, საქართველოს ტერიტორიაზე მათ ყველგან ჰქონდათ შესვლის უფლება. ეს მომენტი საბაბად გაისადეს და მერე რა სისასტიკეც აფხაზებმა გამოიჩინეს, მსგავსი არსად გვინახავს; ჩვენგანაც იყო უამრავი ღალატი, როგორც ოფიცრების, ისე ჯარისკაცების მხრიდან – თუმცა მთელი საქართველო რომ აღმდგარიყო, ომს მაინც წავაგებდით, რადგან რუსეთის მხრიდან ახალი სამხედრო ტექნიკა იყო გამოყენებული და სამხედრო ნაწილებიც აფხაზებს ეხმარებოდნენ.

*ზაურ კალანდია – ჟურნალ „ცისკრის" მთავარი რედაქტორი, მწერალი.*

– ომის აცილება, რასაკვირველია შეგვეძლო, გარდაუვალი იმდენად იყო, რამდენადაც აფხაზეთის ომი მზადდებოდა მთელი 50-60 წელი, და საუბარი ამის შესახებ ჩვენ დიდხანს გვესმოდა. თავისთავად რუსეთის მოწყობილი იყო ეს ომი, ფაქტობრივად რუსეთს ვებრძოდით; მშვენივრად ბრძანა ბატონმა არჩილ სულაკაურმა მწერალთა კავშირში ერთხელ: ჩვენ მტრის ხატი ვერ შევქმენითო... მართლაც ასე იყო, ჩემთვის, დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველის ფსიქიკისთვის წარმოუდგენელია აფხაზების მტრად წარმოდგენა; აფხაზებს უფრო ადვილად შევურიგდებოდით, ვიდრე სომხებს; მე მახსოვს, რა ხდებოდა 1989 წლის ზაფხულში, მე იმ ამბების მონაწილე ვიყავი, მაშინ ისეთი ერთიანი ძალით შევუტიეთ აფხაზებს, რომ მზად ვიყავით, სამ საათში ფსოუმდე გავსულიყავით. მერეც ასე იქნებოდა, საქართველო მარტო ორად გაყოფილი კი არა, დაქუცმაცებული და განადგურებული რომ არ ყოფილიყო. სწორედ ეს მომენტი შეირჩა და ომიც თავს მოგვახვიეს.

რაც შეეხება დაბრუნებას, ისევ ომის გზით თუ შეიძლება მოხდეს, სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიმარჯვებთ, თუ წინა ომის შეცდომებს გავითვალისწინებთ და ერთიანი ძალით შევუტევთ იმათ, ვინც ეს ომი თავს მოგვახვია.

ჩაიწერა
**მიმოზა კვირკვია**

---

რეპლიკა

# ხვალ, ხვალ გეტყვი პასუხს...

ომი სამართლიანიცა და უსამართლოც, აზრიანიც და უაზროც, თავისი დაუნდობელი კანონებითა და აუნაზღაურებელი დანაკარგებით, ალბათ, თანაბრად ანადგურებს მოგებულსაც და, მით უმეტეს, წაგებულს. აფხაზეთის ომმა, რომელიც უაზრო ომის სახელით დამკვიდრდა ჩვენს ცნობიერებაში, არა ერთი პასუხგაუცემი კითხვა წარმოშვა, და არა მარტო წარმოშვა, დღემდე უპასუხოდ დატოვა კიდეც. პასუხის ძიება კი არ ან ვერ ვცადეთ. და თუ ვცადეთ, ალბათ, უფრო პასუხის მხოლოდ ფორმალური დაფიქსირების და არა ხელოვნურად გამუქებული რებუსის ამოხსნის თუ მხოლოდ რებუსად აღქმული რეალობის დანახვის მიზნით.

დღეს, აფხაზეთის ომის დაწყებიდან ხუთი წლისთავზე, როცა ჯერ კიდევ კამათობენ ომის წარმოშობის მიზეზებსა და მოგების შესაძლო ვარიანტებზე, კონფლიქტის ომის გარეშე მოგვარების გზებზე, როცა პოზიციათა ჭიდილში მხოლოდ ერთი აზრია ურყევი – აფხაზეთის ომს ნგრევის, ქაოსის, უბედურების, ლტოლვილების თუ აფხაზეთის დაკარგვის მეტი რომ არაფერი მოუტანია ჩვენთვის, ბუნებრივად ჩნდება კითხვა – რა თანხის ზარალი განიცადა ამ უაზრო ომში საქართველომ? – რომელიც, რატომღაც, ისევ პასუხგაუცემ კითხვათა რიცხვში რჩება.

– ამ ეტაპზე ვერაფერს გეტყვით. ომით გამოწვეულ ზარალს საქართველოს პროკურატურა იკვლევს. ზუსტი მონაცემები დღესდღეობით ჩვენთვის უცნობია – ამბობს თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამსახურის უფროსი ავთო დავითიძე.

დღეს თუ არა, ხვალ, ხვალ თუ არა, ზეგ, დაველოდოთ საქართველოს პროკურატურის კვლევის შედეგებს. იქნებ პასუხგაუცემ კითხვათა რიცხვი ერთით მაინც შემცირდეს. და არა მარტო შემცირდეს, მათ ყურამდეც მივიდეს, ვინც აფხაზეთში უკან დაბრუნების ერთადერთ გზას კვლავ ომში ხედავს.

... და მაინც, საკითხავია, როდის დაზუსტდება, თუ რა თანხის ზარალი მოუტანა აფხაზეთის ომმა საქართველოს?

**ნონა ბურნაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი რედაქციას

# ქართული დიპლომატია ფრთხილად უნდა იყოს

ამა წლის 23 მაისს საფრანგეთის სომხური დიასპორისათვის განკუთვნილ რადიოგადაცემაში 1 ივნისის წინასაარჩევნო პლატფორმას გვიზიარებდნენ ბატონები: ალფერვილის მერი – სენატორი რენე როკე და პრეზიდენტ შირაკთან კარგად დაახლოებული ახალგაზრდა პოლიტიკოსი, წარმოშობით ებრაელი, პიერ ლელუში.

ბატონმა როკემ ბრძანა, რომ თუკი აირჩევენ 1 ივნისს არჩევნებში, იგი თავის მოაზროვნეებთან ერთად, საფრანგეთის ოფიციოზის წინაშე დააყენებდა საკითხს სომეხთა 1915 წლის გენოციდისა და ყარაბახის ცნობის შესახებ. იქვე გააკრიტიკა საზღვრების ურღვევობის პრინციპი.

ეს რომ მოვისმინე, მე არ დავაყოვნე და, ბედად, გადაცემის წამყვანის მიერ შემოთავაზებული სატელეფონო ნომრის პირველივე აკრეფვისთანავე ეთერში გავედი და ბატონ რენე როკეს შეკითხვა დავუსვი:

– თქვენი აზრი აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე? სანამ პასუხს გამცემდეთ, ბატონო მერო – სენატორო, შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აფხაზეთი საქართველოს შინაგან საქმედ, ხოლო ყარაბახი კი – საერთაშორისო საქმედ მოიხსენია. ამასთან, არსებობს ტერიტორიების ურღვეობის ცივილიზებული პრინციპი, რასაც, ალბათ, პატივი უნდა ვცეთ-მეთქი.

პასუხი: – მე ყარაბახის საკითხთან დაკავშირებით მაქვს ერთგვარი პასუხისმგებლობა, ცოდნა და ამით ვარ დაკავებული, ხოლო დასმულ საკითხში ნაკლებად ვარ ინფორმირებული და ამიტომ, ვერაფერს ვერ ვიტყვიო.

წამყვანმა კი აღნიშნა, რომ რთული შეკითხვა დავსვი და მიკროფონი სხვა რადიომსმენელს გადასცა. ეს იყო დილის 11 საათსა და ოცდაათ წუთზე.

მოგვიანებით ისაუბრა პიერ ლელუშმა, რომელიც წამყვანმა მსოფლიოს სომხური დიასპორის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საყვარელ პოლიტიკურ მოღვაწედ მოიხსენია.

ბატონმა ლელუშმა გააკრიტიკა ევროკავშირის გადაწყვეტილება ტერიტორიების ურღვევობის პრინციპის შესახებ. თქვა, რომ ძალას არ დაიშურებს იმისათვის, რომ საფრანგეთი წინადადებით შევიდეს ამ „დრომოჭმული“ პრინციპის გადასინჯვისათვის და დაამატა: „არსებობენ სახელმწიფოები: სომხეთი (გულისხმობს ყარაბახითურთ), საქართველო, იუგოსლავია, სადაც ზოგიერთ ერებს ერთად ცხოვრება არ სურთ და ისინი უნდა გაიყარონ და ეს გაყრა უნდა მოხდეს უფრო ცივილიზებული მეთოდით“... სამწუხაროა, რომ ომებისა და ტერიტორიების გადანაწილების მომხრე ასეთი კანდიდატი, როგორც პიერ ლელუშია, დეპუტატად აირჩიეს და დღეს იგი საფრანგეთის საკანონმდებლო ორგანოშია.

სწორედ პიერ ლელუშისა და მისთანა ვაიპოლიტიკოსებისათვის მუშაობს და იღვწის სლავოლოგი, პოლონური წარმოშობის ფრანგი ებრაელი შარლ ურჟევიჩი, რომელიც ხშირად ჩამოდის საქართველოში, ძმობას გვეფიცება, იქაც და აქაც, საფრანგეთში, მაგრამ სინამდვილეში კი, თავისი გამოსვლებითა და სტატიებით, ძირს უთხრის საქართველოს, აზერბაიჯანის, პალესტინის, ლიბანის ტერიტორიულ მთლიანობას. როგორც გამოიკვეთა, ბოლო ხანებში ტერიტორიების ურღვევობის პრინციპს საშიშროება დაემუქრა, ევროპასა და აფრიკაში უკვე გვაქვს ამისი პრეცედენტები და ქართული დიპლომატია (თუკი ასეთი რამ არსებობს) ფრთხილად უნდა იყოს.

**ბადრი გოგია**

სპეციალურად „ახალგაზრდა ივერიელისათვის“
პარიზი.

კომენტარი

# ჩავაბაროთ ჩვენი ლტოლვილები მძევლებად... არძინბას?

***აფხაზეთის ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში ხუთი წელი სრულდება. მოვლენები კვლავაც გაურკვევლობის ბურუსითაა მოცული, თუმცა კითხვა, შესაძლებელი იყო თუ არა აფხაზეთის პრობლემის მოგვარება ომის გარეშე, ხშირ შემთხვევაში დადებით პასუხს იღებს. ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მოსაზრებას გვიზიარებს ფრაქცია „აფხაზეთის“ წევრი ბატონი თორნიკე ფიფია:***

— ეს ომი პროვოცირებული იყო, რაშიც ჩვენმა ხელისუფლებამ აშკარად შეუწყო ხელი რუსეთის სპეც-სამსახურებს. ხშირად მეკითხებიან, თუ რატომ არ ვმონაწილეობდი ამ ომში? წინასწარ გაყიდულ ომში ვინ რა დოზით მონაწილეობდა, ეს მათი უბედურებაა და არა ჩემი. მე ვიცოდი, რომ ეს ომი წინასწარ იყო გაყიდული და რომ არა ჩვენი ხელისუფლების ხელშეწყობა, მისი თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელი იყო, თუმცა, მთავარი ფაქტორი მაინც ისაა, რომ რუსის ჯარის ყოფნა არ უნდა ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიაზე. ეროვნული მოძრაობა მართალი აღმოჩნდა, როცა ამბობდა (ეს აფხაზეთამდე), რუსეთის საოკუპაციო ჯარები უნდა გავიდნენო საქართველოს ტერიტორიიდან. ეს რომ მომხდარიყო, ჩვენ აფხაზებთან მშვენივრად მოვრიგდებოდით. ყველაფრის ინსპირატორი და შემსრულებელი რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხდა, რუსი იყო. სანამ რუსები იქნებიან აფხაზეთის ტერიტორიაზე, მისი დაბრუნება არ მოხდება, რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი, და თუ იქნება ლაპარაკი, ისე მაინც არ მოხდება, რომ საქართველოს იურისდიქცია აღდგეს... შეიძლება ჩვენი ლტოლვილები მძევლებად ჩავაბაროთ აფხაზეთს და არძინბას მთავრობას...

**თამარ ოთიაშვილი**

პრობლემა

# ვილაპარაკოთ ჯარის პრობლემებზე, ოღონდ არ ვაგინოთ ქართული არმია



როდის გახდება პრესტიჟული ქართულ არმიაში სამსახური? საკითხავია, თუმცა ისიც ხომ აშკარაა – პრესტიჟამდე რომ არც ისე მოკლე მანძილია. ამ ეტაპზე კი, როცა ქართული არმიის, როგორც რეალური სუბიექტის არსებობა-არარსებობის საკითხიც კი კამათის ობიექტადაა ქცეული, პრესტიჟზე საუბარი მხოლოდ ცარიელ ოპტიმიზმს ჩაბღაუჭებულის მორიგ ცარიელ ფრაზებად რომ არ აღიქვათ, უმჯობესია ბოლოდან კი არა, ერთი უბრალო ლოგიკურობიდან დავიწყოთ – როდის დაიწყება ქართული არმიის მშენებლობის რეალური პროცესი? პრესტიჟზე კი, ზედმეტმა „ზრუნვამ“ დღესვე რომ არ „გადაგვღალოს“, უმჯობესია, ჯარის, როგორც ჯანმრთელი ორგანიზმის ჩამოყალიბების შემდეგ ვიზრუნოთ. მანამდე კი...

ალბათ, გახსოვთ, არცთუ ისე შორეულ წარსულში, თავბრუდამხვევი პროტესტია აღლუმში საოკუპაციო ჯარისადმი ახალგაზრდობის პროტესტმაც ბუნებრივად რომ იწონა თავი და არც თუ უსაფუძვლოდ და უშედეგოდ. ბუნებრივ პროტესტს არანაკლებ ბუნებრივი აჟიოტაჟიც მოჰყვა. აჟიოტაჟი ქართული არმიის დაფუძნებასთან დაკავშირებით. აჟიოტაჟს – არნახული ტემპით გადადგმული რამდენიმე ნაბიჯი. ბოლოს კი – პირველი ემოციების დაცხრომისთანავე უცვარი მეხრეში. და არა მარტო მეხრეში. დღეს იმავე პროტესტი სწორედ იმ არმიის მისამართითაა გამიზნული, რომლის შექმნისთვისაც ერთ დროს დიდი თავგამოდებით იბრძოდნენ დღევანდელი „პროტესტანტები“. რატომ? ვკითხულობთ და ამ ერთი შეხედვით, თითქოს უცნაური პარალელიდან თუ „ჭიორსა შიგან ზაქარიაძის“ უზღვავი ნოსტალგიიდან შედარებით უკეთესი ჭიორისადმი მხოლოდ ერთი რამ შეიძლება დავასკვნათ – რაოდენ გადაჭარბებულადაც არ უნდა აღიქვათ, თუ უკანსვლის არსებული ინერცია დროით არ დაფიქსირდა და დღესვე არ შეჩერდა, ხვალ, ვინ იცის, იქნებ ქართული არმიისადმი წვევამდელთა პროტესტმა საოკუპაციო ჯარისადმი გუშინდელ პროტესტსაც კი გაასწროს ტემპით და ხარისხით.

რატომ? სად არის პრობლემის ეპიცენტრი? რატომ არიდებს ახალგაზრდობა თავს სავალდებულო სამხედრო სამსახურს? რა არის ამ თითქოს ფარული, მაგრამ თითქმის მასშტაბური პროტესტის მიზეზი?

მინისტრებზე მონადირენი პრობლემის სათავეს თავდაცვის მინისტრად ვარდიკო ნადიბაიძის არსებობაში ხედავენ. პრობლემის გადაჭრის გზას კი მის გადადგომაში. შეუწყობს თუ არა ხელს მინისტრების გამოცვლა საქმის რეალურ ცვლილებას, თუ ეს საკითხის მხოლოდ ფორმალური მხარეა, საკამათოა. ერთი კი ცხადია – ვარდიკო ნადიბაიძისთვის ქართული ჯარის მშენებლობის პრობლემა რომ ზედმეტად უცხოა.

*... და მაინც, სად არის მიზეზი არსებული არასასურველი შედეგისა, ანუ რატომ არიდებს ახალგაზრდობა თავს სავალდებულო სამხედრო სამსახურს?*

აზრთა ჭიდილში დაკარგული რეალობის ძიება არც ისე ბევრ დროს წაგვართმევს, ერთ გავრცელებულ, ყველასათვის ნაცნობ ფრაზას თუ გავიხსენებთ და მიზეზ-შედეგობრიობის უწყვეტობის პრინციპსაც თუ გავითვალისწინებთ.

– დავიხსნი, შვილს ჯარში როგორ გავუშვებ – ალბათ, არაერთხელ გსმენიათ არა ერთი მშობლისგან და უკვე აღარც გიკვირთ კიდეც. დავიხსნით – ამბობენ და დახსნაც ხომ სხვა არაფერია, თუ არა თავის დაღწევა სასჯელის, ან სასჯელის კატეგორიასთან გათანაბრებული დამსჯელი ღონისძიებისაგან. დიახ, ნამდვილად ასეა. და რადგან ასეა, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდობა თავს არიდებს არა სავალდებულო სამხედრო სამსახურს, არამედ „სავალდებულო [illegible]“ – „[illegible]“ [illegible] ლას რომ შეეძლოს, ალბათ, ქართული არმიის ნამცეცებიც კი აღარ დარჩებოდა ჩვენში. ან რა გასაკვირია, ჩვენს ჯარში საგულდაგულოდ ჩაბუდებული ათასი ნაცნობი თუ უცნობი სენი, ინფექციური თუ არაინფექციური დაავადებები, მამათმავლობის, დეზერტირობის, არაერთი ფაქტი, კუთხურობის მავნე ტენდენცია თუ უკვე სტაჟიანი, გამოცდილი, „კანონიერ ქურდად“ ქცეული ჯარისკაცის ექსპლუატაციის არაერთი შემთხვევა გუშინდელი „არაფისადმი“, რომ ბოჭავდეს ქართული არმიის მშენებლობის პროცესს და ზრდიდეს ამ უკუღმართობისადმი თავის ამრიდებელთა რიცხვს თუმცა...

პრობლემის მხოლოდ ერთი მხარის დაფიქსირება, რაოდენ რეალურადაც არ უნდა აღიქმებოდეს ის, რბილად რომ ვთქვათ, ტენდენციურობის მანიშნებელია, სხვა თუ არაფრის. სწორედ ამ მიზეზით და სავალდებულო სამხედრო სამსახურისადმი თავის არიდების მიზეზთა სრულყოფილად აღქმის მიზნით რამდენიმე კითხვით მივმართეთ საქართველოს სამხედრო კომისრის მოადგილეს ბატონ მიხეილ ქვემოკლიძეს.

– სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის არიდების კლასიკურ მაგალითად ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატების ლიდერი ჯაბა სამუშია შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც თავისდაუნებურად ხელისშემწყობია იმ პრობლემისა, რომლის შესახებაც ხმამაღლა საუბრობს. თვით პრობლემის არსებობის მიზეზი კი არაერთია, რომელთა შორის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულად ომში დროებითი წარუმატებლობის ფაქტორი შეიძლება ჩაითვალოს, რამაც საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში შეარყია ეროვნული არმიისადმი ტრადიციული დამოკიდებულება. თუმცა ეს ახალი კი არა, წაგებული ომის თანმხლები ცნობილი სინდრომია, რომლის მორჩენაც მხოლოდ დროს შეუძლია.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დღევანდელი ახალგაზრდები მძიმედ ეგუებიან იმ პირობებს, რომელთან შეგუებაც ადრე სრულიად ჩვეულებრივი იყო.

*– თუ არსებობს დღეს არმიაში ისეთი პირობები, რომელთან შეგუებაც სიძნელის გარეშე შესაძლებელია?*

– ყველაფერი პირობითია. ზოგ ნაწილში, ალბათ, უფრო მძიმე პირობებია, ზოგზე ნაკლებად მძიმე, მაგრამ ელემენტარული საარსებო სიტუაცია კი ყველა ნაწილში ნამდვილად არსებობს. თუნდაც ის ფაქტი, რომ 500 სამხედრო მოსამსახურიდან 50 დეზერტირია, „450 კი კეთილსინდისიერად მსახურობს, როგორ ფიქრობთ, ცუდი პირობების ბრალია თუ თვით ახალგაზრდების მოუმზადებლობის და უნებისყოფობის – პირველსავე სიძნელეზე ფარ-ხმალი დაყარონ და დეზერტირად იქცნენ?

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს სახელმწიფოებრივი მასშტაბით მიმდინარეობს ანტისაჯარისო პროპაგანდა. ყველანაირად ცდილობენ, ავტორიტეტი შეულახონ ჩვენს ისედაც პრობლემებით სავსე არმიას. დეზერტირობის და კორუფციის ფაქტებთან ერთად დადებით მომენტებსაც რომ ვაშუქებდეთ, სხვა საკითხია, მაგრამ, როცა მხოლოდ პრობლემის ნეგატიურ მხარეზე ვსაუბრობთ, ამით ხომ ახალგაზრდობას სამხედრო ვალის მოხდის უკანასკნელ სურვილსაც ვუკლავთ და ვუხშობთ. მოკლედ, ვილაპარაკოთ ჯარის პრობლემებზე, მაგრამ ნუ ვაგინებთ ქართულ არმიას.

... და კიდევ ერთი მიზეზი არმიისადმი ახალგაზრდობის ინერტული დამოკიდებულებისა არის ის, რომ არ არსებობს იდეოლოგიური დოქტრინა. როგორი ჯარი გვჭირდება? როგორ ვაშენოთ არმია? რა მეთოდიკით ვიმუშაოთ ახალგაზრდებთან? აი, არასრული სია იმ კითხვებისა თუ საკითხებისა, რომელიც სერიოზულ პასუხს და მიდგომას მოითხოვს. დღეს ჯარისკაცთან ყველა ისე მუშაობს, როგორც მას ქმის და სურს. საჭიროა სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად ჯარისკაცის პრესტიჟზეც იზრუნებს, რომლის გარეშეც ქართული არმიის გაჯანსაღება შეუძლებელია.

*– [illegible] ნისლებაზე ფიქრი მანამ, სანამ არმიის მშენებლობის სადავეები ვარდიკო ნადიბაძის ხელშია. შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ბატონი ვარდიკო ქართული არმიის მშენებლობის გარანტად?*

– ჯარისკაცისთვის მინისტრი მეთაურია. მეთაურის ბრძანება კი აუცილებლად უნდა შესრულდეს, თუმცა მე არ მეგულება დღევანდელი თავდაცვის მინისტრის არც ერთი ისეთი ბრძანება, რომელიც ჯარის რეფორმისკენ იქნებოდა მიმართული. სხვა საკითხია, თუ როგორ სრულდება თვით ბრძანებები.

*– რამდენი ჯარისკაცი ჰყავს დღეს საქართველოს?*

– კონკრეტული ციფრის დასახელებისგან თავს შევიკავებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ საქართველოს უფრო ნაკლები ჯარისკაცი ჰყავს, ვიდრე სომხეთს ან აზერბაიჯანს.

*– დღეს ქართულ არმიაში 2600 ჯარისკაცზე 3000 ოფიცერია მაშინ, როცა სომხეთის არმიას მხოლოდ 1000 ოფიცერი ჰყავს, მეთანხმებით?*

– დიახ. ეს ინფორმაცია სიმართლეს ჰგავს.

*– რა ღირს ყალბი სამხედრო ბილეთი? ამბობენ 1000-1200 ლარით. მართალია?*

– შემიძლია თამამად განვაცხადო – თითქმის უკვე ორი თვეა, რაც ჩვენი სამხედრო კომისარიატების სისტემაში ყალბი სამხედრო ბილეთების გამოწერის პრაქტიკა მოისპო. ყბადაღებული ყალბი სამხედრო ბილეთები აღარ არსებობს.

*– იმასაც ამბობენ, და არც მთლად უსაფუძვლოდ, თბილისის გარეთ, ფაქტობრივად, ჯარი არ არსებობსო. ალბათ, დამეთანხმებით, სამხედრო მოსამსახურეთა არცთუ ისე მცირე ნაწილი ჯარში მხოლოდ ფორმალურად რომ ირიცხება, რა თქმა უნდა, გარკვეული თანხის სანაცვლოდ*

– გამორიცხული არაფერია. ალბათ, ასეთი შემთხვევებიც არსებობს. სასურველია, კონკრეტული ფაქტის აღმოჩენისთანავე გვაცნობოთ. გარწმუნებთ, მათ მიმართ უმკაცრეს ზომებს მივიღებთ.

*– ბევრმა „თავი დაიხსნა“ სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან. „დახსნის“ მომენტი თავისთავად ხომ არ გულისხმობს არმიის მხოლოდ ნაკლებად შეძლებული ოჯახის შვილებით დაკომპლექტებას?*

– დიახ, სამწუხაროდ ასეა. თუმცა ეს პრობლემა დღეს არ წამოჭრილა. „დახსნის“ პრაქტიკა საოკუპაციო ჯარის დროსაც არანაკლები მასშტაბით არსებობდა, მაგრამ მაშინ ამ საკითხს ტაბუ ჰქონდა დადებული. დღეს კი, როცა უკვე ხმამაღლა ვსაუბრობთ ერთ დროის მიჩქმალულ პრობლემაზე, ალბათ, ისიც უნდა განვაცხადოთ – სამხედრო კომისარიატი ამ სენისაგან უნდა განიკურნოს. ჯარში უნდა წავიდეს ყველა, ვინც ექვემდებარება გაწვევას. თუმცა განკურნება და კორუფციის ფაქტების მოსპობა შეუძლებელია მანამ, სანამ ელემენტარულად ნორმალური ხელფასი არ ექნება ოფიცერს.

*– ... და ბოლოს*

– ჯარისკაცი, რომელიც დაძახებისთანავე უყოყმანოდ უნდა დადგეს სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე, ღირსეულ და ავტორიტეტულ პიროვნებად უნდა ვაქციოთ. ქართული არმია ჩვენი ასაშენებელია და არა სხვისი. ჯარისკაცის პრესტიჟის მისაღწევად ყველამ უნდა გადავდგათ თითო ნაბიჯი.

* * *

ქართული არმიის არაპრესტიჟულობის მიზეზთა შორის კი ბატონ მიხეილ ქვემოკლიძის მიერ ნახსენებ გარე ფაქტორებთან ერთად ის შიდა ფაქტორებიცაა, რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი. და იმ საჭირბოროტო კითხვის პასუხიც – რატომ არიდებს ახალგაზრდობა თავს სავალდებულო სამხედრო სამსახურს – სწორედ ამ ფაქტორთა მიერ გამოვლინებული ფაქტების არსებობაშია, და არა სხვაგან, თუმცა ისიც ხომ აშკარაა – ქართული არმია მხოლოდ გინებითა და ქვების სროლით რომ არ აშენდება.

მაშ, ვილაპარაკოთ ჯარის პრობლემებზე, ოღონდ არ ვაგინოთ ქართული არმია.

**ნონა ბურნაძე.**



აღმოსავლეთი ყოველთვის იყო მიდრეკილი თვითმკვლელობისადმი: ინდოეთში დაქვრივებული ქალები კოცონზე იწვავდნენ თავს, რასაც სატი ეწოდებოდა; იაპონიაში ხარაკირი და მასობრივი სანახაობრივი თვითმკვლელობები იყო გავრცელებული; ძველ ჩინეთში შეურაცხმყოფელს საკუთარი თავის მოკვდინებით პასუხობდნენ.

სულ სხვაა დასავლეთი: ჯერ კიდევ უძველეს კართაგენში ქალებს შორის თვითმკვლელობის ალკვეთას იმის მუქარით ცდილობდნენ, რომ მათ მიმვედ გვამებს ყველას საცქერლად გამოფენდნენ; ძველ რომში, იმპერატორ ტანკვინიუს პრიკსუსის დროს, უბედური თვითმკვლელების გვამებს, მტაცებლებს უგდებდნენ დასაგლეჯად; ადრიანეს ეპოქაში თვითმკვლელობა დანაშაულს უტოლდებოდა და ქონების კონფისკაციით, გლოვისა და დამარხვის აკრძალვით მთავრდებოდა.

თუმცა, ძველად მაინც ეწეოდა ანგარიში იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი მიზეზის გამო – გამუდმებული ტანჯვა, უკურნებელი სენი, ღირსების შენარჩუნება – თვითმკვლელობას მაინც ჰქონდა არსებობის უფლება. რომისა და საბერძნეთის ხელისუფალნი ამ საკითხის კანონმდებლობის დონეზე მოგვარებასაც კი ცდილობდნენ. ბევრ ქალაქში სპეციალურად ინახებოდა სახელმწიფოს ხარჯებით დამზადებული ძლიერმოქმედი შხამის – ციკუტის მარაგი, რომელიც ყველა მსურველისათვის ხელმისაწვდომი იყო, ოღონდ ერთი პირობით: თვითმკვლელობის მიზეზი სენატს, უხუცესთა საბჭოს, ანდა სხვა რომელიმე უმაღლეს ინსტანციას უნდა „მოეწონებინა“.

მაგრამ XIV საუკუნეში ეკლესიამ, ხელმძღვანელობდა რა მცნებით „არა კაც ჰკლა“, სუიციდი ოფიციალურად აღიარა მკვლელობად. ამის შემდეგ თვითმკვლელთა გვამებს განსაკუთრებული სისასტიკით შეურაცხყოფდნენ: ფეხებით კიდებდნენ ხალხმრავალ ადგილებში, გულში მარგილს ურჭობდნენ და ისე ფლავდნენ გზაჯვარედინებზე სამარცხვინოდ, ლეშთან ერთად მარხავდნენ. ბოლოს იქამდეც კი მივიდნენ, რომ ამ „დანაშაულში“ უბრალოდ ეჭვმიტანილი ადამიანების გვამების ამოთხრაც კი დაიწყეს. ლუდოვიკო XIV დროს, სისხლის სამართლის დებულების თანახმად, თვითმკვლელთა გვამებს პირქვედამხობილთ დაათრევდნენ ქუჩებში, ფეხებით ჰკიდებდნენ და შემდეგ ძაღლებს უგდებდნენ საჯიჯგნად.

მოგვიანებით, უფრო რესპექტაბელურმა ევროპელებმა თვითმკვლელები, უბრალოდ, გიჟებად გამოაცხადეს. თუმცა, ინგლისმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კიდევ კარგა ხანს არ უღალატა ტრადიციებს – აქ თვითმკვლელობა 1961 წლამდე ითვლებოდა დანაშაულად. 1955 წელს, მაგალითად, ერთ უბედურს, სასწაულად რომ გადაურჩა თვითმკვლელობას, ორი წლის პატიმრობაც კი მიუსაჯეს.

საზოგადოება მათ საქციელს, ძირითადად, ალმაშფოთებელს უწოდებს, ფსიქოლოგები სიგიჟეს აბრალებენ, ანთროპოლოგები – თავის ქალაში არსებულ გადახრებს, ფსიქოლოგები – პიროვნულ სისუსტეს, სოციოლოგები – სოციალური პრობლემების მოუგვარებლობას... თუმცა, ისინი, ვერც ცალ-ცალკე და ვერც ყველა ერთად, მაინც ვერ ხსნიან ბოლომდე, რატომ იკლავს ადამიანი თავს.

ის კი არადა, არცთუ იშვიათად, თავად თვითმკვლელებმაც არ იციან, ალბათ, კონკრეტულად, რას მიჰყავს ისინი ამ ზღვართან – მათი სიკვდილისწინა წერილები ხომ ასე ტრაფარეტული და არაფრისმთქმელია სიკვდილთან შედარებით.

ასე რომ, ფაქტი მხოლოდ ერთია და თანაც საშინელი: თვითმკვლელობის შემთხვევები მსოფლიოში გამუდმებით იზრდება, მათი მიზეზები კი სულ უფრო ძნელად ასახსნელი ხდება. დღეს საკუთარ სიცოცხლესთან ანგარიშსწორების სურვილი და საამისო მიზეზიც უჩნდებათ გიჟებსაც და ფსიქიურად ჯანმრთელ ადამიანებსაც, ღარიბ-ღატაკთაც და სიმდიდრით გამორჩეულთაც. მეტიც, განვითარებულ ქვეყნებში თვითმკვლელობისკენ ლტოლვა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე დანარჩენ სამყაროში. მაგალითად, კანადაში სამჯერ უფრო ხშირად იკლავენ თავს, ვიდრე კოსტარიკაში. სუიციდი ცივილიზაციის ნამდვილ მეგზურად იქცა. რატომ?

აი, ერთი ახსნა: ჩვენი საუკუნის ტემპები აღარ იძლევა ადამიანში პიროვნების დანახვის საშუალებას. ჩვენ მხოლოდ სახეებს, სახეების მთელ ნაკადსაც კი ვხედავთ. არა და, ადამიანს, ცხოველისაგან განსხვავებით, ინსტინქტები როდი უკარნახებს, თუ რა სჭირდება, საკუთარი წინაპრებისაგან განსხვავებით კი, აღარც ტრადიციები ასწავლიან, თავად როგორი უნდა იყოს. და რადგან არც ინსტინქტია და აღარც ტრადიცია, დღეს ადამიანს ან ის სურს, რაც ყველას (და ეს კონფორმიზმია), ან იმას აკეთებს, რასაც მისგან მოითხოვენ (რასაც ტოტალიტარიზმი ეწოდება). ამას კი საბოლოოდ ადამიანი მიზნებისა და სურვილების მასშტაბურ დაკნინებამდე მიჰყავს. ყველას როდი შეუძლია ამის შემდეგ სიცოცხლე და არც ცოცხლობს...

**ამერიკაში** 1960 წლიდან დღემდე ახალგაზრდებს შორის თვითმკვლელთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა. ამჟამად, ყოველწლიურად წარუმატებელი სუიციდის შემდეგ ათასზე მეტი ამერიკელი ხვდება საავადმყოფოში.

**ავსტრიასა და დანიაში** ყოველ ასი ათას მოსახლეზე 128 თვითმკვლელობა მოდის;

**ფინეთში** – 125;

**ინგლისში** – 144;

**რუსეთში** ყოველდღიურად თავს იკლავს 108 ადამიანი;

**საქართველოში** 1990 წლიდან დღემდე 3-ჯერ გაიზარდა თვითმკვლელთა რიცხვი. ამჟამად ყოველ ასი ათას მოსახლეზე წელიწადში 10-12 სუიციდი მოდის.



# სუი

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ინგლისელმა მღვდელმა ჩად ვარამ გაზეთში საკუთარი ტელეფონის ნომერი და შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაქვეყნა: „თუ თავის მოკვლა გადაწყვიტეთ, დამირეკეთ!“ ეს ჩად ვარამ მას შემდეგ გააკეთა, რაც 12 წლის გოგონამ, რომელსაც პირველი მენსტრუაცია დაეწყო

# აღსარება

## ადამიანისა, რომელმაც ორჯერ სცადა თავის მოკვლა

– თავის მოკვლა პირველად 19 წლის ასაკში ვცადე, მეორედ 30-ს ვიყავი გადაცილებული (აქ ასაკს შეგნებულად აღარ ვაკონკრეტებ). ორივე შემთხვევაში ყველაფერი ისე მოვაწყვე, რომ, წესით, ჩემი გადარჩენის რეალური შესაძლებლობა არ არსებობდა. მაგრამ, ალბათ, ღმერთის ნება იყო, რომ ორჯერვე გადამარჩინეს.

პირველად სახლში მე და დედაჩემი ვიყავით. ცოტა ხანში ის რაიონში უნდა წასულიყო ახლობლის დაკრძალვაზე. დედა გავისტუმრე თუ არა, სამზადისს შევუდექი. მაქსიმალურად მოვიწესრიგე თავი, მაკიაჟიც კი არ დამვიწყებია – მინდოდა, ლამაზი მკვდარი ვყოფილიყავი. შემდეგ კედლიდან ჩამოვხსენი დიდი სარკე და დაბლა დავდგი, ისე რომ მასში მთლიანად გამოვჩენილიყავი და დავწექი ისეთ მდგომარეობაში, როგორც სიკვდილის შემდეგ წარმომედგინა თავი...

ამის შემდეგ სარკე ისევ თავის ადგილზე დავაბრუნე, თმა გავისწორე და, შორს წასვლა რომ არ დამჭირვებოდა, იქვე, ტუმბოზე მოვიდგი წყალი და 16 ტაბლეტი „ეუნოქტინი“ (ვიცოდი, რომ, ეს წამალი, მამაჩემს რომ ვასმევდით გარდაცვალებამდე, მარტო წნევას კი არ არეგულირებდა, ძილსაც ჰგვრიდა) დავლიე მშვიდად, თითო-თითოდ, ერთმანეთის მიყოლებით...

*– რაზე ფიქრობდი ამ დროს?*

– აბსოლუტურად არაფერზე!

*– არც იმაზე, ვინც ან რამაც, ამ გადაწყვეტილებამდე მიგიყვანა?*

– არა! უბრალოდ მე საკუთარი თავი დავსაჯე. თავად გავასამართლე და თავადვე გამოვუტანე განაჩენი...

*– მიზეზი?*

– განხიბვლა! მე ბუნებით მაქსიმალისტი ვარ. სანახევროდ არც სიყვარული შემიძლია და არც სიძულვილი. მიყვარს ადამიანის (როგორც მამაკაცის, ისე ქალის) ამოჩემება და გაღმერთება. შემდეგ ამ ადამიანს ისეთ თვისებებს მივაწერ ხოლმე, რომ ლამის მართლა ცაში ამყავს. მაგრამ, უცბად, აღმოჩნდება, რომ შევცდი (გაღმერთებული ადამიანისაგან ხომ პატარა შეცდომაც კი საშინელებად გეჩვენება) და ამის გამო მზად ვარ, საკუთარი თავი სასტიკად დავსაჯო. ალბათ, მიმიხვდები, პირველ რიგში რისთვისაც: „ულირსს ზედმეტად თუ მიეფერე, დაუნანებლად გაგსრისავს მერე...“.

*– ვინ გადაგარჩინა?*

– დედამ. მაინც რა არის დედის ინტუიცია – გზაში გულმა რაღაც ცუდი უგრძნო და უკან მობრუნდა... უკვე გონი მქონდა დაკარგული... ამის შემდეგ სამი დღე და ღამე მეძინა. ამ ხნის მანძილზე, თურმე, დედაჩემის ხმის გარდა, არაფერზე ვრეაგირებდი. დედას კითხვებზეც კი ვპასუხობდი. რომ გამოვიღვიძე, პირველი რაც იყო, მშიამეთქი, წამოვიძახე...

*– ჩადენილის გამო სინდისი თუ გქენჯნიდა?*

– არა! პირიქით, ძალიან კმაყოფილიც კი ვიყავი იმით, რაც გავაკეთე: ვფიქრობდი, რომ რაღაც დავუმტკიცე საკუთარ თავს. ალბათ, ის, რომ შემიძლია თავს მოვერიო და რასაც მოვისურვებ, ის დავმართო... ე.ი. მე ძლიერი ვარ!

*– ბევრი და მათ შორის პირველ რიგში სპეციალისტები, კი თვლიან, რომ თავის მოკვლა სუსტი ადამიანების ხვედრია...*

– ადამიანი, რომელიც ამას შანტაჟის მიზნით აკეთებს, მართლაც შესაბრალისია, მაგრამ არა მგონია, ყველა შემთხვევაში თვითმკვლელობა ადამიანის სისუსტით იყოს გამოწვეული. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ვინმეს თვითმკვლელობისკენ მოვუწოდებ, არა, ასე ნუ გამიგებენ. მაგრამ თავის მოკვლას, ალბათ, საოცარი ძალა სჭირდება – შიშის, სიკვდილის შიშის დაძლევა. ეს კი ყველა შიშზე ძლიერია... ისე კი, თავად ეს პირველად რომ ჩავიდინე, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი საიმისოდ, რომ ამდენ რამეზე მეფიქრა და იმაზე მემტვრია თავი, თუ ვინ როგორ გაიგებდა ჩემს საქციელს...

*– მეორედ?*

– მეორედ მართლა დამნაშავე ვიყავი... არა, ისე კი ნუ გამიგებ, რომ რაღაც კონკრეტული დანაშაული ჩავიდინე... უბრალოდ, ბოროტად გამოვიყენე ძალა, რომელიც, ალბათ, ყველა ქალს აქვს და ცოდვისკენ ვუბიძგე ერთ ადამიანს...

*– მაინც რა ცოდვა იყო ეს?*

– გამორთე დიქტოფონი და გეტყვი...

.............................

*– მეორედ რომელი წამალი დალიე?*

– ისევ „ეუნოქტინი“ და თანაც მის ხელში ჩასაგდებად ცხოვრებაში პირველი და, ალბათ, უკანასკნელი ქურდობაც ჩავიდინე – მეგობრის სახლიდან წამოვიღე დაუკითხავად... შემდეგ სწორედ იმ მეგობრის გადასარჩენი გავხდი...

მეორე თვითმკვლელობა უფრო ორგანიზებულად მოვაწყვე. წერილებიც კი დავუტოვე ყველა ჩემს ახლობელს...

*– თუ საიდუმლო არ არის, რას წერდი იმ წერილებში. ამბობენ, თვითმკვლელების სიკვდილისწინა წერილები ძალზე ტრაფარეტული და არაფრისმთქმელია საერთოდ და განსაკუთრებით სკივდილთან შედარებითო.*

– იცი, ეს როგორი წერილები იყო! ... როგორ გითხრა?... ალბათ, იმეათია (გიჟის გარდა, ცხადია) ადამიანი, ვისაც შეუძლია ყველას ყველაფერი უთხრას: კოჭლს – კოჭლი ხარო, ბრუციანს – ბრუციანიო... აი, რაღაც ეგეთი წერილები იყო. აღარაფერი ჩავიტოვე გულში. მართალია, ძალზე მოკლე და ლაკონური წერილები იყო, მაგრამ მაინც ყველაფრის მთქმელი. ცხადია, საგანგებოდ ვუხდიდი ბოდიშს და ვთხოვდი პატიებას დედას!

*– ალბათ, დამეთანხმები, რომ ეს მისთვის დიდი ვერაფერი ნუგეში იქნებოდა...*

– მართალი ხარ... მაგრამ... მოდი, მეც გკითხავ: თუ ყოფილხარ მდგომარეობაში, როცა იმდენად ძლიერია სიკვდილის, ამქვეყნად არყოფნის სურვილი, რომ ყველაფერს სჯაბნის?

*– ალბათ, ვყოფილვარ, მაგრამ ეს განცდა მაინც წამიერია და უმალ გადის...*

– ყოველთვის არა! ასე რომ, თუ ეს სურვილი კარგა ხნით დაგეუფლა, მერე ველარავის გაუწევ ანგარიშს, მათ შორის ველარც დედას. მე კი სწორედ ასე დამემართა: აბსოლუტურად მარტო დავრჩი... არა, ახლობლები და მეგობრები როგორ არ მყავდა გვერდით, მაგრამ მაინც აბსოლუტურ სიცარიელეს ვგრძნობდი... მე ძალიან მიჭირს ცხოვრება უსიყვარულოდ. მაშინ კი დიდმა სიყვარულმა დამტოვა. ამას დაემატა სრული პროფესიული კრახი



# იდი

**და ვერანაირი ახსნა ვერ მოუძებნა ამ ბუნებრივ პროცესს, თავი მოიკლა... სამწუხაროდ, ეს ჩვენს პლანეტაზე მომხდარი არც პირველი და არც ბოლო თვითმკვლელობა არ ყოფილა. ადამიანების ერთი ნაწილი დღემდე ჯიუტად უსწორებს ანგარიშს საკუთარ სიცოცხლეს. რატომ?...**

– გაკოტრდა ფირმა, რომელშიც ვმუშაობდი, დავკარგე საყვარელი საქმე და უშველებელი ვალიც დამედო... თამოკლედ, ცოცხალ ლემად ვიქეცი, თანაც ეს რამდენიმე დღე ან კვირა კი არა, თვეების განმავლობაში გრძელდებოდა. ყოველივე ამის შემდეგ ნამდვილად ალარ შემეძლო სიცოცხლე, ალარ შემეძლო და მორჩა!

მაგრამ მეორედაც გადამარჩინეს. გონს რომ მოვედი, საშინლად დამწყდა გული – როგორ, ისევ ცოცხალი დავრჩი-მეთქი? არადა, სულ რაღაც ორ კვირაში ისეთი დიდი ბედნიერება მეწვია, რომ ეკლესიაში ხატის წინ მუხლმოყრილი მადლობას ვწირავდი ღმერთს, რომ გადამარჩინა და ამხელა ბედნიერების განცდის საშუალება მომცა...

*– მანამდე სად იყო ღმერთი? ნუთუ თვით ყველაზე დიდი სასოწარკვეთილების წუთებშიც არ გაგახსენებია?*

– ღმერთი სად იყო?... მე ყოველთვის მწამდა ღმერთი, მაგრამ მქონდა მომენტები, როცა საყვედურს გამოვთქვამდი ღმერთის მისამართით (და ვიცი, რომ ეს ყველაზე დიდი ცოდვაა, რომელიც კი ოდესმე ჩამიდენია), იმიტომ, რომ ზოგჯერ ისეთ კრიტიკულ მომენტებს მიქმნიდა, უფრო სწორად მექმნებდა ცხოვრებაში, რისი ღირსიც ნამდვილად არ ვიყავი. ყოველთვის სწორედ ის ადამიანები, ვისთვისაც სრულიად უანგაროდ გამიკეთებია სიკეთე (ალბათ, ამის ლაპარაკიც ცოდვაა, მაგრამ ვცდილობ, სიტუაცია გავაანალიზო), მპასუხობდნენ ბოროტებითა და უკეთურობით. სწორედ ისინი მიფუჭებდნენ ბევრ რამეს, სწორედ მათ გამო გავილანძღე დაუმსახურებლად, თანაც ერთხელ და ორჯერ არა... ასეთ წუთებში ვსაყვედურობდი ხოლმე ღმერთს: ღმერთო, ნუთუ ვერ ხედავ, რა ხდება, რატომ არ მეხმარები, რატომ არაფერს ილონებ-მეთქი. აი, ასეთი საყვედურები ბევრჯერ შემიბედია ღმერთისთვის... ასეთ მომენტებში მე განაწყენებული ვიყავი ღმერთზე, ასეთ დროს, მეჩვენებოდა, რომ ღმერთიც მტოვებდა...

*– და ჯოჯოხეთში მოხვედრისაც აღარ გეშინოდა?*

– არა! იმ წუთებში იმდენად გამწარებული ვიყავი საკუთარ თავზე, რომ საწამებლადაც ადვილად ვიმეტებდი. „ღირსი ხარ, თუ „იქ" მოხვდები და იწამებ!" – ვეუბნებოდი მაშინ საკუთარ თავს და იმ მომენტში ამაზეც შეგნებულად მივდიოდი...

*– თვითმკვლელობას გადარჩენილი ადამიანი, ცხადია, უმალ ვერ დაუბრუნდება ცხოვრებას. ვინ (ან, იქნებ, რამ) მოგაბრუნა საბოლოოდ სიცოცხლისაკენ?*

– ღმერთმა! როგორც ზემოთაც გითხარი, მეორე თვითმკვლელობიდან სულ რაღაც ორ კვირაში უდიდესი ბედნიერება მომივლინა, ღმერთის საჩუქრად ვთვლიდი და ვთვლი ყველაფერს, რაც მაშინ გადამხდა თავს – ბედნიერების ისეთი ამაღლებული განცდა მხოლოდ ღმერთის წყალობით თუ ეწვევა ადამიანს...

*– ახლა?*

– ახლა ისე ბოლომდე ჩამითრია საყვარელმა საქმემ, რომ თვითმკვლელობისათვის ნამდვილად აღარ მცალია. აკი გითხარი, სანახევროდ ვერაფერს ვაკეთებ-მეთქი...

***ვეტა ლაზარაშვილი, სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების კრიზისულ ცენტრ „ნდობის" ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი:***

– სუიციდი – თვითმკვლელობა – პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური დეზადაპტაციის შედეგია სოციალური კონფლიქტების პირობებში.

პიროვნული არსის მიხედვით, თვითმკვლელობის შემდეგი ფორმები არსებობს: „ პროტესტი", „შურისძიება", „სასჯელისათვის თავის არიდება", „სიცოცხლეზე უარის თქმა". რაც შეეხება თვითმკვლელობის მოტივებს, ისინი მრავალნაირია. მაგალითად: ოჯახური კონფლიქტი, პირადი უსიამოვნება, კონფლიქტი პროფესიულ სფეროში, სექსუალური პრობლემები, ცალმხრივი სიყვარული, მარტოობა და ა.შ. ხშირია თვითმკვლელობა განუკურნებელი სენით შეპყრობილ ადამიანებში.

არსებობს ე.წ. „პარასუიციდის" ცნებაც, რაშიც ზოგიერთი მკვლევარი არა მხოლოდ თვითმკვლელობის მცდელობებს, არამედ იმ შემთხვევებსაც გულისხმობს, როცა ადამიანს სიკვდილის გაუცნობიერებელი სურვილი ამოძრავებს. მაგალითად, კარლ მენინგერის თეორიის მიხედვით, ალპინიზმს, მოტოსპორტს, ნარკომანიას, ალკოჰოლიზმს, ნიკოტინომანიას და, საერთოდ, ყველა იმ ქმედებას, რაც სიცოცხლის რისკთან არის დაკავშირებული, საფუძვლად სიკვდილის ქვეცნობიერი სურვილი უდევს.

არსებობს სუიციდის ორი პიკი – ახალგაზრდობის (18-დან 25 წლამდე) და სიბერის (55 წელს ზემოთ). ეს პიკები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. პირველში უფრო მეტია თვითმკვლელობის მცდელობები, მეორეში – დასრულებული სუიციდები.

დასრულებული სუიციდები ასევე მეტია მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. თუმცა, ქალები მამაკაცებზე 4-ჯერ უფრო ხშირად ცდილობენ თავის მოკვლას.

სუიციდენტების 25 პროცენტი სულით ავადმყოფია; 30 პროცენტს ე.წ. მოსაზღვრე ფსიქიკური აშლილობები (ნერვული აშლილობები, ხასიათის ფსიქოპატიები და ა.შ.) აღენიშნება; 25 პროცენტი კი პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამიანები არიან, რომლებსაც თვითმკვლელობის მომენტში სიტუაციური რეაქციები ანუ აფექტი აღენიშნებათ.

არსებობს „კოლექტიური სუიციდები", როდესაც, მაგალითად, რომელიმე სექტის წარმომადგენლები ერთად იკლავენ თავს.

არსებობს ანტისუიციდური ფაქტორებიც, რომლებიც სერიოზულ ანტისუიციდურ ბარიერებს ქმნიან. ესენია: რელიგიური მრწამსი, ოჯახური ტრადიციები, პასუხისმგებლობის გრძნობა (ე.წ. კანტის „ზნეობრივი იმპერატივი"). სწორედ ეს ბარიერები უშლიან ადამიანს ხელს თვითმკვლელობის ჩადენაში.

უკანასკნელ წლებამდე საქართველო იმ ქვეყანათა რიგში იდგა, სადაც დაბალია თვითმკვლელობათა შემთხვევები. მაგალითად, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ბოლოსწინა (ბოლოზე სომხები იყვნენ) საპატიო ადგილი გვეკავა, რასაც იმით ვხსნიდით, რომ თვითმკვლელობა, როგორც მიღებული ფენომენი, არც ჩვენს კულტურაში, არც რელიგიაში და არც საზოგადოებრივ ცნობიერებაში არ არსებობდა. არის ქვეყნები, მაგალითად, ინდოეთი, სადაც თვითმკვლელობა მიღებული იყო. ძველ გერმანელებს პირველი თვითმკვლელისადმი მიძღვნილი ჰიმნიც კი ჰქონდათ, სადაც მის სიმამაცეს ადიდებენ. ჩვენთან კი პირიქით ხდებოდა – გაიხსენეთ ლადო ასათიანის სტრიქონები: თავს არ მოიკლავს ქართველი არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს!". თვითმკვლელობა საქართველოში ყოველთვის ადამიანის სისუსტედ ითვლებოდა და არა ვაჟკაცობად, თვითმკვლელებს იბრალებდნენ, მაგრამ არ თანაუგრძნობდნენ, მით უფრო, არ განადიდებდნენ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ბოლო წლებში სურათი საგრძნობლად შეიცვალა უარესობისაკენ: დღეს საქართველოში 3-ჯერ უფრო მეტია სუიციდის შემთხვევები, ვიდრე 1990 წელს. მაშინ ყოველ 100 000 მოსახლეზე წელიწადში 3-4 თვითმკვლელობა მოდიოდა, ახლა ეს რიცხვი 3-ჯერ გაიზარდა და ეს ჩვენი საზოგადოების სერიოზულ ფსიქოლოგიურ კრიზისზე მიგვანიშნებს, რასაც როგორც მისი ცალკეული წევრები, ისე მოსახლეობის დიდი ჯგუფები, განიცდიან.

საქართველოში სუიციდის გახშირების მიზეზად ბევრი ძირითადად მატერიალურ ფაქტორს ასახელებს. მე კი დავძენდი, რომ ეს პირველ რიგში მატერიალური კი არა, უიმედობის, უპერსპექტივობის, უმომავლობის, უსამართლობის განცდაა, რაც ჩვენში ერთნაირად სტანჯავს მატერიალურად უზრუნველყოფილთაც და ღარიბ-ლატაკებსაც.

ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს უსათუოდ სჭირდებათ დახმარება და სულიერი თანადგომა, რაშიც თავისი მოკრძალებული წვლილი ჩვენს სამსახურს – სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების კრიზისულ ცენტრ „ნდობასაც" შეაქვს. ჩვენი ცენტრი არასახელმწიფო სამეცნიერო ორგანიზაციაა, რომლის ძირითად საქმიანობასაც ფსიქოლოგიურ კრიზისში მყოფი ადამიანების სამედიცინო და სოციალურ-ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა წარმოადგენს. ჩვენ ნებისმიერ კრიზისულ სიტუაციაში ჩავარდნილმა ადამიანმა შეიძლება მოგვმართოს. მას სათანადო დახმარებას გაუწევენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები:ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, სექსოლოგები, ნარკოლოგები, იურისტები... აქვე არსებობს ნდობის ტელეფონებიც – მოზრდილთათვის (სადღეღამისო): 96-05-05 და მოზარდებისათვის – „საყმაწვილო არხი" (დილის 9-დან საღამოს 9 საათამდე): 95-13-96. დაგვირეკეთ!



***თუ არ ჩავთვლით ისტორიულ ექსკურსს, ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი რელიგიის დამოკიდებულებას თვითმკვლელობისა და თვითმკვლელებისადმი. ამ საკითხზე მსჯელობით არც ბოლოს გავკადნიერდებით. მხოლოდ კიდევ ერთხელ შეგახსენებთ ათიდან ერთ-ერთ მცნებას: „არა კაც ჰკლა!" და სიტყვას ეკლესიის მსახურთ გადავცემთ.***

## ყველა გზა რწმენისკენ მიდის

***მღვდელთმთავარი ზიორზი ზამრეკელი:***

– სასოწარკვეთილებაში მყოფი ადამიანის შეგნებული, მიზანდასახული თვითმკვლელობა ცოდვად ითვლება. უბედურება ამ ცოდვისა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს ალარ აქვს მონანიების საშუალება. ის მიდის ამ ქვეყნიდან უკიდურესი განმარტოების მდგომარეობაში. გაწყვეტილი აქვს კავშირი ღმერთთან და მოყვასთან.ხსნის აღარც იმედი აქვს და აღარც სურვილი. მას ამოძრავებს მხოლოდ ერთადერთი რამ: გაექცეს ამქვეყნიურ მწუხარებას. სრულიად აღარ ფიქრობს მომავალ ცხოვრებაზე. მან უარი თქვა ყველაზე, დაკარგა რწმენა ღვთისა და მომავლისა და ამქვეყნიდან სინანულის გარეშე წავიდა. ამიტომ დახმარებას, ლოცვის სახით, ის ვერ მიიღებს. ამგვარი თვითმკვლელის სულის საოხად ეკლესიაში ლოცვა არ აღევლინება, როგორც უშედეგო და უნაყოფო.

ცოდვად არ ითვლება თვითმკვლელობა, რომელსაც ადამიანი სჩადის არა თავის მოკვლის მიზნით, არამედ სხვის გადასარჩენად, სხვისი სიყვარულით.

არის კიდევ ერთი კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც ფსიქიკური აშლილობა აღენიშნებათ და პასუხს ვერ აგებენ თავიანთ ქმედებაზე. თვითმკვლელი, ვინც სასოწარკვეთილების გამო იკლავს თავს, არის ადამიანი, რომელმაც მთელი მსოფლიო თავის თავს დაუპირისპირა და თვითონაც დაუპირისპირდა მას. მისი სული იმ ცხოვრებაში ყველასაგან გარიყული, მარადიულ სიბნელესა და ტანჯვაში აღმოჩნდება.

* * *

*ყველა გზა რწმენისკენ მიდის! მაგრამ რა ვუყოთ რწმენის სისუსტეს, ანდა სულაც უქონლობას?*

*კრიზისულ სიტუაციაში, მეტ-ნაკლებად, ყველანი ვხვდებით, მაგრამ ზოგი ჩვენგანი სხვებზე უფრო სუსტი აღმოჩნდება ხოლმე და განაჩენიც გამოტანილი აქვს. ფსიქოლოგების აზრით, ასეთნი, როგორც წესი, შედარებით ნაკლებად მოქნილი, სწორხაზოვანი, ჯიუტი ადამიანები არიან, რომლებსაც რაიმე უსარგებლოსა და შეზღუდულის არსებობის ასეთივე ჯიუტი რწმენა აქვთ. თუმცა, მათი ხსნა მაინც შეიძლება. ზოგჯერ, ადამიანმა რომ თავის მოკვლა გადაიფიქროს, ზოგი რამისადმი მისი დამოკიდებულების შეცვლაა მხოლოდ საჭირო. სწორედ ეს იქნება ჩვენი დახმარებაც.*

*მაგრამ ყველა როდი იღებს დახმარებას, ბევრ ადამიანში თავიდანვე, გაუცნობიერებლად, სიკვდილის სურვილი ბევრად სჭარბობს სიცოცხლისას. ზოგიც გაცნობიერებულად, ყველაფრის აწონ-დაწონვით მიდის ასეთ გადაწყვეტილებამდე...*

*და მაინც, თვითმკვლელობა, როგორც არ უნდა ავხსნათ მისი მიზეზი, მაინც სისუსტე და კაპიტულაციაა. ის თითქმის არასდროს არაა გამართლებული, თუნდაც ადამიანმა ყველაფერი დაკარგოს: სიყვარულიც, ჯანმრთელობაც, ახლობლებიც, საკუთარი ძალების რწმენაც და სიცოცხლის აზრიც...*

*ძნელია არა? თითქმის შეუძლებელი! მაგრამ, ალბათ, თვით ასეთ შემთხვევაშიც უნდა არსებობდეს (და არსებობს კიდეც!) ძალა, რომელსაც უფსკრულთან ნებაყოფილებით მდგარი ადამიანის მობრუნება შეუძლია... ბევრს ამ ძალას ღმერთი აძლევს, ზოგს კი, ღმერთისავე შეწევნით, უდიდესი სასოწარკვეთილების დროს გვერდით, იქნებ, შემთხვევით მდგარი უბრალო მოკვდავი...*

გვერდი მოამზადა
**რუსუდან ლებანიძემ**

კრიმინალი

# სიდედრ-სიმამრიანი

შარშან, 10 მაისს, გამთენიისას, ქ.გურჯაანში, სარაჯიშვილის 41-ში მნახველებს საშინელი სურათი გადაეშალათ: ოჯახის უფროსი ნოდარ შოთას ძე კუპრაშვილი, საწოლზე რომ ესვენა, უამრავი ჭრილობის გამო სისხლისაგან დაცლილიყო. ამ შემზარავ ამბავთან დაკავშირებით გურჯაანის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. როგორც ძიებით გაირკვა, დაზარალებული კუპრაშვილი მარტო ცხოვრობდა თავის ოთხ მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად, მისი მეუღლე ნათელა კუპრაშვილი კი 1995 წლის ნოემბერში ოჯახური უთანხმოების გამო სახლიდან დაითხოვა, შვილების გაზრდა მამამ დაივალა, იგი მათ დედის ნათესავებთან ურთიერთობას უშლიდა, მაგრამ უფროსი ქალიშვილი 15 წლის შორენა ჩუმად მაინც ახერხებდა „აკრძალულ" ნათესავებთან მისვლას. ამისთვის მამამ იგი არაერთხელ დასაჯა. გოგონა ყველაფერს ბებიას და პაპას გურჯაანში, არაგვისპირელის ქუჩაზე მცხოვრებ მერი კევლიშვილს და რეზო ტალიაშვილს უყვებოდა. კონფლიქტი, რომელიც თვეების მანძილზე გრძელდებოდა, იმდენად გამწვავდა, განაწყენებულმა



სიდედრ-სიმამრმა გადაწყვიტეს, დაექირავებინათ მკვლელი და სიძე მოეშორებინათ. მათ ამ საქმის სისრულეში მოყვანა სთხოვეს ერთხელ მათთან სტუმრად მყოფ, ადრე ნასამართლევ ნოდარ ახმეტელოვს და მის „გერს" კობა ქერენაშვილს. თავდაპირველად მათ უარი განაცხადეს, მაგრამ მეორედ სტუმრობისას გამდიდრებას დახარბებული ქერენაშვილი შეიარაღდა ცივი იარაღით – სამონადირეო დანით, ნოდარ ახმეტელოვი საოჯახო დანით და 9 მაისს 23 საათზე სახლში მიეჭრნენ სიდედრ-სიმამრისგან განწირულ სიძეს. დანა რომ დაარტყეს, ნოდარ კუპრაშვილი საძინებელ ოთახში შევარდა ხვეწნა-მუდარით, არ მომკლათო. მაგრამ ვინ ისმენდა, წააქციეს საწოლზე, მკვლელი ახმეტელოვი მხვერპლს თავის მხრიდან მოექცა, ქერენაშვილი ფეხების მხრიდან და დანებით უმოწყალოდ დასერეს. სისხლში ცურავდა ნოდარ კუპრაშვილი, მაგრამ ბოროტმოქმედები სულის ამოხდამდე არ მოეშვნენ. გვამს ოცზე მეტი სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. დანაშაულის ადგილიდან გამობრუნებისას ბოროტმოქმედები შორენა კუპრაშვილს წააწყდნენ, რომელიც ხმაურზე გამოსულა და ამ შეზარავი სურათის მოწმე გახდა – მამის მკვლელებმა წასვლისას გოგონა „გაამხნევეს" „არ შეგეშინდესო". თან დაარიგეს, – თუ ვინმე მოვიდეს უთხარით, ქურდები იყვნენ და მამაჩემი იმათ მოკლესო (?!). განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ დაქირავებული მკვლელები იქაურობას გაშორდნენ. გზად მიმავლებმა გუბეში გარეცხეს სისხლიანი დანები, სახლში მისულებმა რაც ეცვათ, ის ტანსაცმელი დაწვეს და სხვა სამოსში გამოწყობილნი დაპირებული საზღაურის: ბინის, ოქროულობის და სოლიდური თანხის ასაღებად გაეშურნენ ტალიაშვილთან და კევლიშვილთან, მათ კი ურჩიეს, რომ ჯერ გადამალულიყვნენ, თვითონ კი უზრუნველყოფდნენ დანაშაულის კვალის დაფარვას, ამასობაში მათი შვილი ნათელა კუპრაშვილი ჩამოვიდოდა რუსეთიდან და „გაუსწორდებოდნენ". მკვლელები მართლაც გადაიმალნენ, მაგრამ ოთხ დღეში დააკავეს. დანაშაულზე პასუხს ყველა აგებს, მაგრამ ბავშვები?..

იმ ავბედით ღამეს ისინი ბაბო-პაპასთან გაიქცნენ. დილით კი ბაბომ – მერი კევლიშვილმა გურჯაანის მილიციაში მიიყვანა და როგორც დაარიგა, მათაც ისე თქვეს – წუხელ მამამ სახლიდან გამოგვყარა, წადით ბაბო-პაპამ შეგინახოთო. შეგვეშინდა სახლში რომ არ მოგვეჭრას, თქვენთან დასახმარებლად მოვედითო(?!).

მოხდა დანაშაული, ანგარიშსწორებით. საუბარი იყო ადამიანის ფიზიკურ განადგურებაზე, მაგრამ აი, კიდევ შემდგომი მძიმე დანაშაული, რომ არავის გაახსენდა ის ოთხი წყვილი გაფართოებული თვალი, რომელმაც ჯოჯოხეთი დაინახა: სიცრუე, ღალატი, დაუნდობლობა... რომელმაც მოწმე გახადა გაუთვითცნობიერებელი საშინელი ფაქტისა. აი, შერყეულ ოჯახში შექმნილი ატმოსფერო როგორ აყალიბებს ბავშვებს პიროვნებად: ქმარზე განაწყენებული დედა მოსკოვში გადაბარგდა საცხოვრებლად და ხანგრძლივი დროის მანძილზე შვილები არ ენახა. ბებია-ბაბუამ კი შვილიშვილებს ჯერ მამა მოუკლეს და შემდეგ მათივე დახმარებით ცდილობდნენ კვალის დაფარვას. მაგრამ ის არ უფიქრიათ, ვინ ან რა დაფარავს ოთხი დაობლებული ბავშვის გულ-გონებაში დატოვებულ საზარელ კვალს.

**ლელა ხეჩოშვილი**

პარაფსიქოლოგიური პარაგრაფები

# ყველაზე საიდუმლო იარაღი

თბილისი წალეკა ე.წ. „ძონძების" მაღაზიებში საზღვარგარეთიდან შემოზიდულმა ნახმარმა (ზოგჯერ ახალმაც) იაფფასიანმა ტანსაცმელმა. ცუდი ნამდვილად არაფერია იმაში, თუ ჩვენი ხელმოკლე მოსახლეობის ნაწილი იაფად „შეიმოსება", მაგრამ დამაფიქრებელი აქ სხვაა: როგორც ახლახან ერთ-ერთ ქართულ გაზეთში ითქვა, ამ ტანსაცმელს არ უკეთდება დეზინფექცია (ყოველ შემთხვევაში, მეტწილად ასეა), რადგანაც ეს დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. „ვინ იცის, ვისი ტანსაცმელი მიმაქვს სახლში, იქნებ, სულაც ინფექციური ავადმყოფისა, მაგრამ სიიაფის გამო ვეხარბები და ექვებს ყურს ვუყრუებ ხოლმეო", — მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა. დამეთანხმებით, „ძონძების" ბევრი მუშტარი ფიქრობს ასე.

მოდით, ბოლომდე ჩაიკითხეთ ეს სტრიქონები და თუ, მაინც პრობლემის გაზვიადებას დაგვწამებთ, თქვენი ნებაა. შორიდან დავიწყებ:

კაცობრიობის ისტორიაში, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელია პერიოდები, როცა სადმე ომი არ მძვინვარებდა. ადამიანები სულ ახალ-ახალ იარაღებს ვიგონებთ ერთმანეთის განასადგურებლად. ყველაზე შემზარავი მათ შორის ამბობენ, რომ ბიოლოგიური იარაღის ახალი სახეობაა — გენეტიკური იარაღი.

ბიოლოგიური ომის ისტორია მე-14 საუკუნიდან იწყება — მაშინ, როცა შავი ზღვის ერთ-ერთი ნავსადგურის აღებისას თურქებმა მტრის ქალაქის გალავანს მიღმა შავი ჭირით დახოცილი ადამიანების გვამები გადაყარეს. კოლონიურ ამერიკაში ბრიტანელი ოფიცრები ინდიელებს ვირუსებით დაინფიცირებულ ქვეშაგებსა და ტანსაცმელს ურიგებდნენ, ხოლო ჩვენი საუკუნის 30-40-იან წლებში იაპონელები ჩინეთის წინაამდეგ ომში შავი ჭირის გამომწვევ ვირუსებს იყენებდნენ — ასეთ ინფორმაციას გვაწვდის რუსული პრესა.

ჩვენს საუკუნეში ბიოლოგიური იარაღის შესაქმნელად მეცნიერთა ცდები სრულიად გასაიდუმლოებულია. ამ კუთხით მეორე მსოფლიო ომის წლებში იაპონელი სწავლულების „საქმენი საგმირონია" სრულიად შემთხვევით გახდა პრესისთვის ამასწინათ ცნობილი და მთელი იაპონია შოკში ჩააგდო.

გაირკვა, რომ იაპონიის ერთ-ერთი ქალაქის უწყინარი ქუჩის ასფალტის ქვეშ მოქმედებდა საიდუმლო ლაბორატორია, № 731, რომელსაც იაპონელთა სამხედრო-ბაქტერიოლოგიური პროგრამების „მამა", გენერალი სირო ისიი მეთაურობდა. ამ ლაბორატორიის შტატში 300 კაცი ირიცხებოდა, ხოლო ექსპერიმენტები ტარდებოდა 500 ტყვეზე. ამ ადამიანებს ძალით აავადებდნენ ციმბირის წყლულითა და შავი ჭირით, კლავდნენ დენის სკამზე 20 ათასი ვოლტი ძაბვის ქვეშ, წამლავდნენ სხვადასხვა შხამებით, თირკმელებში ცხენის შარდს უშხაპუნებდნენ, სისხლში ჰაერს უტუმბავდნენ და ა.შ. ამასთან, თითოეული შემთხვევა გულდასმით შეისწავლებოდა. ომის დამთავრების შემდეგ იაპონიის მთავრობამ ეს ლაბორატორია ისე შენიღბა, რომ 40 წელი მის შესახებ ვერავინ ვერაფერი გაიგო.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ამბავი სრულიად შემთხვევით გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი — საგზაო მუშები ასფალტის გათხრისას გადააწყდნენ ლაბორატორიას. როგორც წესი, ყველა ქვეყანაში მსგავსი ცდები გასაიდუმლოებულია. ვარაუდობენ, რომ ახალი საშინელი დაავადებები — შიდსი და ებოლა სწორედ ამ საიდუმლო ლაბორატორიებშია შექმნილი. ამის შესახებ 80-იან წლებში განაცხადა რამდენიმე სპეციალისტმა, რის შედეგადაც ისინი საერთოდ გაქრნენ სამეცნიერო ასპარეზიდან. სწორედ ფიზიკური განადგურების შიში აიძულებს



სხვა ვირუსოლოგებს, ჩუმად იყონ, მართლაც, რომ დაუკვირდე შიდსიცა და ებოლაც მხოლოდ ცენტრალურ აფრიკაში მძვინვარებს — აქ შიდსით 20 მილიონი ადამიანია ავად. ალბათ, იმიტომ, რომ ჯუნგლებში საიდუმლო სამხედრო ობიექტების გადამალვა და ადამიანებზე ცდების ჩატარება შედარებით ნაკლებ სიფრთხილეს საჭიროებს.

როგორც არაერთხელ აღინიშნა რუსულ პრესაში, იარაღიდან ყველაზე საშიშია გენეტიკური... ეს იმიტომ, რომ მისი გამოყენება შეიძლება მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტის მონაწილეობით, რაც უმკაცრესად გასაიდუმლოებას უწყობს ხელს. და კიდევ, ვინმეს „გამოჭერა" ამ იარაღის გამოყენებისას პრაქტიკულად შეუძლებელია — ვირუსები ხომ უხილავნი არიან და თანაც არცთუ ისე სწრაფი მოქმედებისა. ასე რომ, თვით უახლესი ტექნიკის მქონე გენეტიკოსსა და მოლეკულური ბიოლოგიის სპეციალისტსაც კი გაუჭირდება ზუსტად დაადგინოს მისი გამოყენება.

„გენეტიკურ იარაღში" იგულისხმება არა მარტო ახალი მუტანტი ვირუსები, არამედ ადამიანის გენეტიკურ კოდზე ზემოქმედების ნაირ-ნაირი ხერხები.

გენეტიკის სფეროში მეცნიერებამ ახალ-ახალ გასაოცარ წარმატებებს მიაღწია. კერძოდ, თანდათან იშიფრება ადამიანის გენეტიკური კოდი. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმოაჩინეს გენები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ემოციებს, მის მახსოვრობას, ინტელექტს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი მიდრეკილების უნარს, თქვენ წარმოიდგინეთ, შვილებისადმი სიყვარულსა და სიკვდილის დადგომის საათს. ვარაუდობენ, რომ რაღაც ათიოდე წელიწადში მთელი გენეტიკური კოდი გაიშიფრება, რაც ზღაპრულ შესაძლებლობებს მიანიჭებს მედიცინის მუშაკებს, მათ ხელში ხომ ადამიანის ბიოლოგიური არსების მთელი საიდუმლო ინფორმაცია აღმოჩნდება. სხვა საქმეა, როგორია პრობლემის ეთიკური მხარე, რადგან შესაძლებელი გახდება ადამიანის გენეტიკურ კოდში სასურველი მიმართულებით ცვლილების შეტანა, რამაც შეიძლება მილიონობით ადამიანის დაპროგრამება-ზომბირებას შეუწყოს ხელი. ეს პროგრამა შემდეგ მთელ თაობებს გადაეცემა.

გენეტიკური იარაღის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ აშშ-ში ამ სფეროზე იხარჯება 13 მილიარდი დოლარი, თითქმის 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე კოსმოსზე. წერილის დასაწყისში ძონძების მაღაზიები ვახსენეთ. ისე ნუ გაგვიგებთ, თითქოს რაიმეს ვამტკიცებდეთ. უბრალოდ, დაგვეთანხმებით, ამ მუხთალ წუთისოფელში ძალიან ძნელია ბრმად ენდო სხვის კეთილ ნებასა და კეთილმოსურნეობას.

**მაია თუნგია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გვიანი დებიუტი?



## გივი სიხარულიძეს აღარ შეუძლია....

გაგიგონიათ გივი სიხარულიძე! ეს არის ბუნების ნათავხედარი კაცი, არაბული ცხენივით პატარა თავით, განიერი ბეჭებით, ვეებერთელა მუშტებითა და მშვილდივით მოზიდული ტანით, რომელიც თოფის წამალივით სულ ასაფეთქებლადაა მზად;

ეს არის ბუნების ნათავხედარი კაცი, რომელმაც ფეხის წვერებზე მოიარა მსოფლიო — ცეკვით დადის, ლექსით ლაპარაკობს, სიცილით მუშაობს.

ეს არის ქვეყნის კოლოფი, რომელმაც იცის, რა ვაი-უშველებელი არის ქვეყნისაგან და არ მალავს არც თავის, არც ჩვენს შერეკილობას.

ეს არის კაცი, რომელზეც განგებამ თავისი მადლიანი კალთა დაიბერტყა — ერთის კი არა ათასის ნიჭი მისცა, მაგრამ არა ბედ-იღბალი;

ეს არის კაცი-გამოცანა! რომელმაც ახლა თვითონ ინება ამოეხსნა თავი და წერამ აიტანა;

ლევ ტოლსტოი ბრძანებს:

— თუ შეგიძლია — ნუ დაწერო! ეტყობა, აღარ შეუძლია და წერს ზეპირ სიტყვაში დიდოსტატია, ვნახოთ, რას მოუტანს ბეჭდვითი სიტყვა?

კიტსი ამბობდა — ყველაფერზე მეტად ცარიელი ქაღალდის მეშინიაო.

გივი და შიში?

იგი აქაც საკუთარ თავს ჰგავს ღმერთმა ხელი მოუმართოს! მას გამკითხავი არასდროს აკლდა.

ახლა მკითხველი სჭირდება!"

ა, ასეთი წარდგინება გაუკეთა გივი სიხარულიძის პირველ წიგნს „ცირუნია" გიზო ნიშნიანიძემ. გივი კვლავ წერამ აიტანა, დუმილი აღარ შეუძლია და სულ მალე მისი მეორე კრებული „ჩემი როლი" გამოვა. გთავაზობთ მოთხრობას ამ კრებულიდან და ორ პატარა ლექსს.




# სიკვდილის ყუთი

განა არსებობს ქვეყნად სიყვარულზე ბვირფასი რამ ადამიანებს შორის. არსებობს და თან როგორი მძაფრი, მას ძაღლური ერთგულება ჰქვია სახელად. სიყმაწვილის წლებიდან მოყოლებული ჩემი ოცნებისა და ნატვრის ნაყოფი იყო კავკასიური ნაგაზი, მაგრამ, რადგანაც, როგორც ჩიტი გალიაში, ისე ვიყავი გამომწყვდეული ერთოთახიან საერთო ბინაში მშობლებთან ერთად, ჩემი ოცნება ლამაზ ოცნებად დარჩა. სიყვარული ამ უტყვი არსების მიმართ წელთა დინებამ ვერა და ვერ გაანელა. ერთხელ ძაღლებზე ქუჩაში მონადირე მეძაღლეებმა ქუჩის ორი მაწანწალა ძაღლი დაიჭირეს და განწირული წკმუტუნით ჩაუძახეს სიკვდილის ყუთში. მე მანქანით ვიყავი და გზა გავაგრძელე. ერთი კილომეტრიც არ მქონდა გავლილი, რომ უცებ მანქანა შემოვატრიალე, დავეწიე მათ და ფულის საფასურად დავიხსენი ისინი სამუდამო დადუმებისაგან.

უნდა გენახათ, რა შეშინებული და ბედნიერები იყვნენ უცაბედი თავისუფლებისაგან. საწყლებმა მთელი ძალით გაკურცხლეს ეზოს ღია ჭიშკრისკენ და სადღაც მიიმალნენ. ის იყო მანქანაში ვჯდებოდი, რომ ძაღლის საბრალო წკმუტუნი შემომესმა, შემოვტრიალდი და მეძაღლეების მანქანას ავახტი, სიკვდილის ყუთიდან ერთი ლამაზი სახის, ქუჩის მაწანწალა პატარა ძაღლი განწირულად შემომცქეროდა. თითქოს მეუბნებოდა, შე კაი კაცო, მე რაღაზე მიმატოვეო. მანქანასთან მდგომი მეძაღლეები მიხვდნენ, რომ ფულის შოვნის წყარო გაუჩნდათ, ხოდა, მეც აღარ დავაყოვნე, მანქანიდან ათლარიანი გადავუგდე და ვანიშნე, სიკვდილის ყუთი გაეხსნათ. ერთ-ერთმა მათგანმა ძაღლი ამოიყვანა და ქუჩაში დასვა. მე მაინტერესებდა, თუ როგორ გაიზიარებდა იგი თავისი წინამორბედების ხვედრს და ადამიანების ენაზე რომ ვთქვათ, სასწრაფოდ გაეცლებოდა იქაურობას. მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, იგი ადგილზე გაქვავდა და ფეხს არ იცვლიდა. იმის შიშით, რომ ამ ძაღლისშვილებს ეს უცოდველი ღვთისშვილი მე რომ წავიდოდი ისევ სიკვდილის ყუთში არ ჩაეგდოთ, მანქანა არ დავძარი ადგილიდან. ისინი გამომემშვიდობნენ და გაემართნენ ახალი სიცოცხლის მოსანუსხად. როცა მათი მანქანა ჩემს თვალსაწიერს მიეფარა, მეც გავემართე ჩემი მანქანისკენ, ძაღლი გამომედევნა და ფეხებში მებლანდებოდა – წადი, ცუგა, წადი – ვუთხარი მე და მანქანაში ჩავჯექი. როცა გზას გავუდექი სარკეში ვიყურებოდი, რათა მენახა, თუ რას მოიმოქმედებდა იგი, მან რამდენიმე ნაბიჯი მანქანისკენ გადმოდგა და რომ მიხვდა ვერ დამეწეოდა, სასოწარკვეთილი ადგილზე დარჩა.

ფიქრებით შორეულ წარსულს დავუბრუნდი, გამახსენდა ბავშვობის წლებში მომხდარი ამბავი, როცა ფეხბურთის სტადიონზე გადავწყვიტეთ შესვლა მე და ჩემმა მეგობარმა. ბედის უკულმართობას დაეკავშინებინეთ ერთმანეთთან. მე მამა მყავდა დაპატიმრებული, ხოლო მას დედა ჰყავდა გარდაცვლილი და მამისგან იყო მიტოვებული. თავის უფროს და-ძმასთან იზრდებოდა ობლად. შესახედავადაც თითქოს ბედს დაეცინა მისთვის. მე ფეხბურთზე შესასვლელად ჩემი გეგმა მქონდა შემუშავებული, რომლითაც ყველა მატჩს ვესწრებოდი. როცა ვინმე დარბაისელი კაცი გამოჩნდებოდა ბილეთით, მოკრძალებით მივიდოდი და ვთხოვდი – ბიძია, ვითომ თქვენი შვილი ვარ, იქნება სტადიონზე შემიყვანოთო. არ მახსოვს ჩემთვის ამ თხოვნაზე ვინმეს უარი ეთქვას. ჰოდა, ჩემს მეგობარსაც ვასწავლე, როგორ უნდა მოქცეულიყო. პირველად მე ავარჩიე ერთი ჭაღარა კაცი. ჩემს თხოვნაზე ღიმილით ხელი გადამხვია და უცბად სტადიონზე აღმოვჩნდი. შიგნიდან ვუყვიროდი, მიდი ბიჭო, ვინმესთან და სთხოვე შემოგიყვანოს-თქო, მაგრამ ბუნებით მორცხვს ვერ გადაედგა ეს ნაბიჯი. როცა ძალიან შევუჩნდი, ერთი მაღალ-მაღალი, ახმახი აარჩია, მივიდა და სთხოვა, ვითომ თქვენი შვილი ვარ, შემიყვანეთო. ახმახმა ჩემი უხიაგოდ ჩაცმული მეგობრის შვილობა იუკადრისა, ირონიით რაღაცა ჩაიბურტყუნა და გასცილდა მას. საწყალი კი დამორცხვებული იქვე მდგარ ბოძს ნირდაკარგული ეყრდნობოდა, მე იმწუთში გარეთ გამოვვარდი, ხელი გადავხვიე და ვუთხარი, ეგ ვიღაც არაკაცი ყოფილა, სხვა აეარჩიოთ-თქო. მან მწარედ ჩაიღიმა და მითხრა – საკუთარმა მამამ მიმატოვა, ბიჭო, მე სხვა როგორ მიშვილებსო. გული დამეწვა, ვინანე საერთოდ სტადიონზე მოსვლა და ვუთხარი – იცი რას გეტყვი? ძალიანაც კარგი, რომ ვერ შევედით, მაინც „ფარჩაკულ" გუნდთან თამაშობდნენ. ის იყო სახლში დაბრუნება გადავწყვიტეთ, რომ ვიღაც მაღალმა კაცმა, რომელიც ძლიერი აღნაგობისა ჩანდა, ჯიბიდან ბილეთი ამოიღო და შესძახა – ზედმეტი ბილეთი ვის უნდაო! – მე ნაბიჯი წინ გადავდგი, მაგრამ, რადგანაც დიდი ასაკის ბიჭები მივარდნენ, ადგილზე გავშეშდი, მივხვდი, რომ ის ბილეთი მე არ მერგებოდა. უცებ ხმა შემომესმა – არა, არა, ეს ბილეთი ამ პატარა ბიჭისააო. ხალხის რკალი გაარღვია და თანაგრძნობითა და სიყვარულით გამომიწოდა ბილეთი. მე მადლობა მოვუხადე და ბილეთი ჩემს მეგობარს ვაჩუქე. ჩემი საქციელით გაკვირვებულმა მკითხა – შენ რატომ არ დაიტოვეო. ბიძია, ვუთხარი მე, ამ ბილეთით ჩემი მეგობარი შევიდეს, მე კი როგორც ვინმეს შვილი ისე შევალო. რაღა სხვის შვილად, ბარემ ჩემთან ერთად შემოდიო, მითხრა მან და მანიშნა წინ, გამიძეხიო. ასე მოვხვდით იმ დღეს ჩვენ ფეხბურთის მატჩზე – მე შვილად, ხოლო ჩემი ძმაკაცი ბილეთით. როცა ფიქრიდან გამოვედი სასწრაფოდ დავამუხრუჭე მანქანა და უკანა სვლით მოვწყვიტე ადგილიდან. ნელ-ნელა მცირდებოდა მანძილი ჩემსა და ძაღლს შორის. როგორც კი შენიშნა მანქანის უკუსვლა, თვითონაც ჩემსკენ გამოიქცა. მე მანქანა შევაჩერე და გადმოვედი. ჩემი გადმოსვლა და იმისი მანქანაში შემოხტომა ერთი იყო. როცა სალონში ჩავჯექი, გვერდითა სკამზე წამოსკუპებულიყო. სევდიანი, მაგრამ მადლიანი თვალებით შემომცქეროდა. ასე აღმოვჩნდით ჩემს სახლში მე და ჩემი პატარა უმწეო მეგობარი. ჩემმა მშობლებმა ძაღლი ლაზათიანად დაბანეს. როცა ოთახში შემოიყვანეს, ისეთი ლამაზი გამხდარიყო, თავი ველარ შევიკავე და მაგრად ვაკოცე. ასე დაიწყო ჩემი და მისი მეგობრობა. წლები მიდიოდა. ძაღლების ექიმის დასკვნით ხუთი წლის იქნებოდა, როდესაც საზღვარგარეთ სამუშაოდ მიმიწვიეს, ყველაზე ძალიან გამიჭირდა მშობლების მიტოვება, ხოლო მათ უზადო სიყვარულს ზედ დაერთო ძაღლის სიყვარულიც. განშორების წუთები ახლოვდებოდა. ცუდ ხასიათზე ვიყავი. ჩემი ცხოვრების თანამგზავრი და თანამოზიარე უტყვი არსება მთელი არსით გრძნობდა ჩემთან განშორების ტკივილს, მაგრამ მის თვალებში ოდნავი იმედის ნაპერწკალი შევამჩნიე. ალბათ, ფიქრობდა იქნება თან წამიყვანოსო. მაგრამ ორივეს საუბედუროდ ამ ნაპერწკალს ხანძრად გადაქცევა არ ეწერა. ღამე საწოლში ჩემს ფეხებთან გაატარა. არც მე და არც იმას თვალი არ მოგვიხუჭავს. ორივე მეორე დღის განშორების სევდით ვიყავით მოსილი. დილას მაგრად ჩავიკარი გულში. შემდეგ ჩემს ხანშიშესულ მშობლებს გადავეხვიე. მერე უცებ შემოვტრიალდი, ისე რომ უკან აღარ გამომიხედავს და გავუდექი ჩემს გზას.

ჩემი საზღვარგარეთ ყოფნის მეორე წელი იწურებოდა, რომ მეგობარმა დამირეკა და მითხრა – მამაშენი ძალიან ავად შეიქნა და უნდა ჩამოხვიდეო. გულმა რეჩხი მიყო. მეორე დღესვე ჩამოვფრინდი. როცა სახლს მივუახლოვდი, ყველაფერს მივხვდი. არ მახსოვს, როგორ ავირბინე ხალხით სავსე საფეხურები. ჩემს წინაშე ძაძებში გახვეული დედა იჯდა მამის ცხედართან. მე გავქანდი, დედის კალთაში პატარა ბავშვივით ჩავრგე თავი და ავქვითინდი. როცა გონს მოვეგე და ემოციები შევიკავე, ძაღლი მოვიკითხე. ჩემმა უახლოესმა მეგობარმა მანიშნა, წამომყევიო. ჩვენ კიბეზე დავეშვით. ძაღლის საცოდავი წკმუტუნი შემომესმა. მე უმალ კიბის ქვეშ დავიხარე და გავშეშდი. ჩემი ძაღლი საშინელი შესახედავი გამხდარიყო. სახეზე და თავზე რამდენიმე ადგილას სისხლიანი ნაიარევი ეტყობოდა. რა მოხდა, ვინ სცემა ასე, შევკივლე მე სასოწარკვეთილმა. ჩემს ხმაზე ნელი ბარბაცით გამოვიდა და თავი სიყვარულით მუხლზე დამადო. მთელი ტანი უთრთოდა. მუხლზე სისველე ვიგრძენი. ვიფიქრე, სისხლი მოსდიოდა. ხელი მოვხვიე და სახე ნაზად მაღლა ავუწიე. ნეტა სისხლი ყოფილიყო. ეს იყო მისი სამძიმრის ცრემლები, რომლებიც უკვე მიმქრალი თვალებიდან ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა. გული ჩამწყდა. რა მოხდა, გავიმეორე მე გიჟივით. რა მოხდა და მამა რომ გარდაიცვალა, ცხედარს არ მოსცილდა. ვერაფრით გარეთ რომ ვერ გავაგდეთ, დავტოვეთ კუბოსთან. დილის ხუთი საათი იქნებოდა, რომ დარტყმის ხმა მოგვესმა. სასწრაფოდ ოთახში შევედით და გავოცდით, საცოდავი ძაღლი მთელი ძალით ურტყამდა თავს კუბოს ფიცარს. ძლივს, ძალისძალად ხელში აყვანილი მოვაცილეთ, ხოლო შემდეგ ამ კიბის ქვეშ მოიკალათა და არავის არ იკარებდა. როცა შევხედეთ, გული მოგვიკვდა. ერთ ღამეში დაბერებულიყო. მე ის ღამე მასთან ერთად კიბის ძირში გავატარე. თავი თავს მივადეთ და ასე შევხვდით გარიჟრაჟს. როგორ არ მეხვეწნენ ჩემიანები, მაგრამ არ მივატოვე. მე მივხვდი, რომ იგი ღმერთს ჩემს სულიერ სამყაროში ჩემი უბედურების თანამოზიარედ შემოეგზავნა. რა ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ქვეყანაში სადაც ბობოქრობდა უგუნურება, უგულობა, სიავე და სიბინძურე, მე ღმერთმა უზადო სიყვარულის ღირსი გამხადა. პირველად ჩავფიქრდი იმაზე, რომ შენი ქალაქის ქუჩის მაწანწალა ძაღლს უფრო მეტი ერთგულება და სიყვარული შეუძლია, ვიდრე ჩვენ ყველას ერთმანეთის მიმართ. როცა მამის ნეშტი მიწას მივაბარეთ უკან ვბრუნდებოდით სამი მწუხარებით სავსე არსება.– დედაჩემი, მე და ჩემი ძაღლი. მთელი საღამო სიტყვა არც ერთს არ დაგვიძრავს. არც ძაღლს დაუყეფია ან დაუკვნესია. ჩვენ ყველამ ის საღამო მწუხარე იდუმალებით მოსილებმა სიჩუმით მივუძღვენით ერთმანეთს. მეორე დღეს უდროოდ დაბერებულ ჩემს ჭირისუფალ ძაღლთან ერთად აეროვაგზლის ბილეთების ჯიხურს მივაკითხე, რათა ჩამებარებინა უკან დასაბრუნებელი ბილეთი. ვუყურებდი მას და მივხვდი, რომ შესანიშნავად იგრძნო, რაც მოხდა. ალერსიანად მომადო ფეხზე თავი და გაირინდა, რათა ამით გამოეხატა თავისი მადლიერება. შინაგანად მივხვდი, რომ არაფერი არ უნდა მეთქვა. მუხლზე ჩავიჩოქე და უხმოდ გავიზიარე მისი მადლიერება ჩემს მიმართ. ჩვენი ურთიერთობა ჩვეულებრივი ადამიანური სიყვარულით დაიწყო და შეუდარებელი, აუნაზღაურებელი ძაღლური ერთგულებით გათავდა.

* * *

მზის სხივი, სანთელი,
ყველაფერი ნათელი.
ბედნიერი მტერი და
უბედური ქართველი.

ზოგი გიჟს ხედავდა მასში,
და ზოგი ნიჭს
ვერავინ ხედავდა
სევდიან ბიჭს.

## ძაღლებსაც დედაქალაქში ცხოვრება უნდათ

თბილისის ვეტერინარული სამმართველოსა და მერიის ცნობით, ცოფთან ბრძოლას აძნელებს ის ფაქტი, რომ მარტო ადამიანებს კი არა, თურმე, ნუ იტყვით, თბილისი ანდამატივით იზიდავს ძაღლებსაც. ოთხფეხა არსებებს, ცხადია, დედაქალაქში ვაჭრობის ფართო შესაძლებლობა ანდა კარიერის შექმნის საშუალება კი არა, ალბათ, ის ხიბლავთ, რომ აქ ნაგავსაყრელებზე უფრო იოლია საკვების პოვნა. ასეა თუ ისე, ძაღლების მიგრაცია ფართო მასშტაბისაა და დამატებით პრობლემებს უქმნის მერიასა და ვეტერინარულ სამსახურს, მით უფრო, რომ თურმე, იმატა სხვა ინფექციური დაავადების-ლეიშმანიოზის შემთხვევებმაც.

## 95 ცენტიან ვაქცინას 35 თეთრად მოგვყიდიან

საფრანგეთის ფირმა „რონ მერიოსთან" მოლაპარაკების შემდეგ, გადაწყდა, რომ ფირმა თბილისს საჩუქრად გადმოსცემს 25 ათას დოზა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინას, ხოლო 250 ათას დოზას 35 თეთრის ფარგლებში შევისყიდით მათგან, – განაცხადა თბილისის მთავარმა ვეტერინარმა, საქართველოს ვეტერინარული დეპარტამენტის უფროსმა ნუკრი გუგუშვილმა, – აღსანიშნავია, რომ ერთი დოზა ვაქცინა საზღვარგარეთ 95 ცენტი ღირს, ასე რომ, ფრანგები ქმედით დახმარებას გაგვიწევენ.

## თბილისში გაიხსნება ვაქცინაციის ცენტრი

ეს იქნება კავკასიაში ფრანგების მიერ დაარსებული ცენტრი, რომელსაც ჩვენი ევროპელი პარტნიორები მოამარაგებენ ვაქცინებით, აგრეთვე, დაგვახმარებენ თავიანთ სპეციალისტებსაც.

**ნინო ლურსმანაშვილი**



## ორშაბათი 11 აგვისტო

7.30. ალიონი.
18.00. „მოამბე". ორშაბათი მთემე დღე. „ექიმის მოსვლამდე". 50/50.
20.00. „მოამბე" „პროფილი".
20.40. „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი".
21.10. მრავალსერიანი მხ. ფილმი „კასანდრა".
22.00. „ვესტნიკი". „ვიდეოპატრული 02". პროგრამა „დღე".
22.45. ქართული მხ. ფილმი „რობინზონიადა", ანუ ჩემი „ინგლისელი პაპა".
00.05. „მოამბე".

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი".
19.20. ზღაპრის ტელედარბაზი.
19.50. საქართველოს მოამბე.
20.00. მოსკოვი-თბილისი
20.30. „კობრა".
22.20. ესტაფეტა.
21.30. არაჩვეულებრივი გამოფენა.
21.40. „ინფორმაცია მეორე არხი". რეკლამა.
22.05. ამერიკული მხ. ფილმი „მკვლელობის უფლება".
პროგრამის დასასრულს მუსიკა.

18.00. კურიერი – საინფორმაციო გამოშვება.
18.15. „არ გეშინია სიბნელის?"
18.40. მანუნა
19.15. დოკ. სერიალი.
19.40. „სამხრეთისაკენ" – ტელესერიალი.
20.35. „მეზობელი გოგონები" – ტელესერიალი.
21.00. კურიერი.
21.30. მხ. ფილმი „ფოსტალიონი".
23.15. „ლოს-ანჯელესის კანონი". სერიალი.
00.05. კურიერი.
00.10. რუსული მხ. ფილმი „ჰეი, მატარებელს ძარცვავენ!".

11.00. ტანვარჯიში, სინდი კროუფორდი.
11.30. მულტფილმები.
12.15. საინფორმაციო გამოშვება.
12.30. დოკ. ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია".
13.30. ამერიკული მხ. ფილმი „ჯონი და სემი".
15.00. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები".
15.30. მუსიკალურ-გასართობი პროგრამა.
17.00. საინფორმაციო გამოშვება.
18.00. მულტფილმები.

18.05 До шестнадцати и старше
18.30 „ВОКРУГ СВЕТА"
19.20 „ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА". Сериал
20.10 Час пик
20.35 Угадай мелодию
21.00 Юрий Никулин в программе В. Познера „МЫ"
21.45 Спокойной ночи, малыши!
22.00 Время
22.40 сериал „ПОЛТЕРГЕЙСТ-2"
23.35 Анастасия Вертинская в программе „ДРУГИЕ БЕРЕГА"
0.15 Андрей Мирорнов и Юрий Болтнев в фильме „МОЙ ДРУГ ИВАН ЛАПШИН"

## სამშაბათი 12 აგვისტო

7.30. „ალიონი".
9.00. მრავალსერიანი მხ. ფილმი „კასანდრა".
18.00. „მოამბე". „მესაკუთრე". „XXI". „რეტროპერსპექტივა".
20.00. „მოამბე". „პროფილი". „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი".
21.10. მრავალსერიანი მხ. ფილმი „კასანდრა".
22.05. „ვესტნიკი". „ვიდეოპატრული 02". ასპარეზი.კამერა-ტონი. TBC სტუდია გთავაზობთ. პროგრამის დასასრულს „მოამბე".
00.00. ღამის კინოჩვენება: ამერიკული მხ. ფილმი „ძმები".

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი".
19.20. მულტფილმები.
19.45. „გრაცია აერობიკა".
20.30. „კობრა" ტელესერიალი.
21.10. დარბაზი.
21.30. „ობიექტივი–25".
21.55. პოდიუმი.
22.00. „ინფორმაცია მეორე არხი". რეკლამა.
22.25. ფრანგული მხ. ფილმი „ქარი გაალეთ, პოლიციაა".

18.00. კურიერი – საინფორმაციო გამოშვება.
18.15. „არ გეშინია სიბნელის?".
18.40. მანუნა.
19.15. დოკ. სერიალი.
19.40. „სამხრეთისაკენ" – ტელესერიალი.
20.35. „მეზობელი გოგონები" – ტელესერიალი.
21.00. კურიერი.
21.30. „სარკმელი". მხ. ფილმი „სტრომეკო".
23.20. „ლოს-ანჯელესის კანონი" – სერიალი.
00.05. კურიერი.
00.25. იტალიური მხ. ფილმი „დეკამერონი".

11.00. ტანვარჯიში, სინდი კროუფორდი.
11.30. მულტფილმები.
12.15. საინფორმაციო გამოშვება.
12.30. დოკ. ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია".
13.30. ფრანგული მხ. ფილმი „შანშანი. სიყვარულის სურნელი".
15.10. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები".
15.30. გასართობი პროგრამა.
17.00. საინფორმაციო გამოშვება.
17.15. მუსიკა.
18.00. მულტფილმები.

18.05. До шестнадцати и старше
18.30 „ВОКРУГ СВЕТА"
20.10 Час пик
20.35 Угадай мелодию
21.00 тема
21.45 Спокойной ночи, малыши!
22.00 Время
22.40 А.Миронов и Е.Проклова в комедии „бУДЪТЕ МОИМ МУЖЕМ"
0.15 любовъ президента в документалъном детективе „КЕНТ И МАРГАРИТА"
1.30 детектив „НАбЕРЕЖНАЯ ЮВЕЛИРОВ".

## ოთხშაბათი 13 აგვისტო

7.30. „ალიონი".
9.00. მრავალსერიანი მხ. ფილმი „კასანდრა".
18.00. „მოამბე". „სარკე". 50/50.
20.00. „მოამბე". პროფილი. „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი".
21.10. მრავალსერიანი მხ. ფილმი „კასანდრა".
22.00. „ვესტნიკი". „ვიდეოპატრული 02". პროგრამა „დღე".
23.50. „მოამბე".
00.00. სტუდია ილუზიონი. პროგრამა პანორამაში წარმოგიდგენთ ამერიკულ მხატვრულ ფილმს „ნიკო-7".

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი".
19.20. ზღაპრის ტელედარბაზი.
20.00. გოლი.
20.30. „კობრა". ტელესერიალი.
21.10. პარალელი.
21.45. სიყვარულის ისტორია.
21.50. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი".
22.10. ქართული მხატვრული ფილმი „თხუნელა". პროგრამის დასასრულს მუსიკალური გადაცემა.

18.00. კურიერი. – საინფორმაციო გამოშვება.
18.15. „არ გეშინია სიბნელის?".
18.40. მანუნა.
19.15. დოკ. სერიალი.
19.40. „სამხრეთისაკენ" – ტელესერიალი.
20.35. „მეზობელი გოგონები". – ტელესერიალი.
21.00. კურიერი.
21.30. ამერიკული მხ. ფილმი „ეის ვენტურა – შინაურ ცხოველთა მაძებარი დეტექტივი".
23.00. „ლოს-ანჯელესის კანონი". სერიალი.
23.50. კურიერი.
00.05. ამერიკული მხ. ფილმი „როცა მამაკაცს უყვარს ქალი".

11.00. ტანვარჯიში, სინდი კროუფორდი.
11.30. მულტფილმები.
12.15. საინფორმაციო გამოშვება.
12.30. დოკ. ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია".
13.30. ამერიკული მხ. ფილმი „დამნაშავე მაიამიდან".
15.15. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები".
15.45. გასართობი პროგრამა.
17.00. საინფორმაციო გამოშვება.
17.15. მუსიკა.
18.00. მულტფილმები.

18.05 До шестнадцати и старше
18.30 „ВОКРУГ СВЕТА"
19.20 „ДЕВУШКА ПО ИМЕНИ СУДЬбА". Сериал
20.10 Час пик



## კვირის ტელეპროგრამა

20.35 Угадай мелодию
21.00 „ в поисках утраченного". Фаина Раневская.
21.45 Спокойной ночи, малыши!
22.00 Время
22.40 фаина раневская в филъме „ПОДКИДЫШ"
0.05 Юрий Шевчук и группа „ДДТ"
1.15 право на местъ в филъме „КЛЯТВА НА КРОВИ"

## ხუთშაბათი 14 აგვისტო

7.30. ალიონი.
9.00. მრავალსერიანი მხ. ფილმი „კასანდრა".
18.00. „მოამბე". „მესაკუთრე". „მერიდიანი". „პიგია". სპა.
20.00. „მოამბე". „პროფილი". „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი".
21.10. მრავალსერიანი მხ. ფილმი „კასანდრა".
22.00. „ვესტნიკი". „ვიდეოპატრული 02". „XX საუკუნე, დრო და ადამიანები". პროგრამა „დღე".
22.40. მრავალსახეობა.
23.50. მოამბე.
00.00. ღამის კინოჩვენება ამერიკული მხ. ფილმი „დაივიწყეთ პარიზი".

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი".
19.20. მულტფილმები.
19.45. „გრაცია-აერობიკა".
20.00. „ინტერვიუ".
20.20. ავსტოსპორტი.
20.30. „კობრა". ტელესერიალი.
21.40. შეიდეული.
22.10. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი".
22.35. ამერიკული მხ. ფილმი „დაკრძალვა". პროგრამის დასასრულს – მუსიკა.

18.00. კურიერი – საინფორმაციო გამოშვება.
18.15. „არ გეშინია სიბნელის?"
18.40. მანუნა.
19.15. დოკ. სერიალი.
19.40. „სამხრეთისაკენ" – ტელესერიალი.
20.35. „მეზობელი გოგონები". – ტელესერიალი.
21.00. კურიერი.
21.30. ქართული მხატვრული ფილმი „ვინ შეაკავებს იხენს".
23.05. „ლოს-ანჯელესის კანონი". – სერიალი.
00.05. კურიერი.
00.10. მხატვრული ფილმი „მოკვდი ახალგაზრდა".

11.00. ტანვარჯიში, სინდი კროუფორდი.
11.30. მულტფილმები.
12.15. საინფორმაციო გამოშვება.
12.30. დოკ. ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია".
13.30. მხატვრული ფილმი „არლეტი".
15.15. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები".
15.45. გასართობი პროგრამა.
17.00. საინფორმაციო გამოშვება.
17.15. მუსიკა.
18.00. მულტფილმები.

18.05. До шестнадцати и старше.
18.30. ВОКРУГ СВЕТА.
19.20. „Девушка по имени Судьба".
20.10. Час пик.
20.35. Джентльмен-шоу.
21.05. Моя семья брошенная женщина.
21.45. Спокойной ночи, малыши!
22.00. Время.
22.45. Комедия „ФАНТОЦЦИ НА ВТОРЫх РОЛЯХ",
00.40. Магия: мир сверхъестественного,
01.25. Френсис Коппола представляет „ТРИ НОВЕЛЛЫ",

## პარასკევი 15 აგვისტო

7.30. ალიონი.
9.00. მრავალსერიანი მხ. ფილმი „კასანდრა".
18.00. „მოამბე". 50/50.
20.00. „მოამბე". პროფილი: „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი". „საღამო მშვიდობისა ". წარმოგიდგენთ.
22.05. „ვესტნიკი". „ვიდეოპატრული 02".
22.20. ლატარია ყველასათვის.
23.00 „პერი". ტელე-ხიდ-ვიდეო.
23.50. „მოამბე". ღამის კინოჩვენება: ამერიკული მხ. ფილმი „შეუსრულებელი დავალება".

19.00. „ინფორმაცია მეორე არხი".
19.20. ზღაპრის ტელედარბაზი.
20.00. ბუდარია.
20.30. „კობრა" ტელესერიალი.
21.15. მეოთხე.
21.45. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.50. მხატვრული ფილმი „ჯეინ ეარი". პროგრამის დასასრულს – მუსიკა.

18.00. კურიერი – საინფორმაციო გამოშვება.
18.15. არ გეშინია სიბნელის?".
18.40. მანუნა.
19.15. დოკ. სერიალი.
19.40. „სამხრეთისაკენ". – ტელესერიალი.
20.35. VIDEO FASHION.
21.00. კურიერი.
21.30. მხატვრული ფილმი „თეთრი მეფე, წითელი დედოფალი".
22.50. „ლოს-ანჯელესის კანონი" – სერიალი.
23.40. კურიერი. ღამის არხი.
23.50. „სიმპსონები".
00.20. „ემოციები".
00.55. ამერიკული მხ. ფილმი „კარგი ბიჭები".
3.30. „ინტიმური ფანტაზიები".

11.00. ტანვარჯიში, სინდი კროუფორდი.
11.30. მულტფილმები.
12.15. საინფორმაციო გამოშვება.
12.30. დოკ. ფილმი „ცხოველთა ენციკლოპედია".
13.30. ფრანგული მხ. ფილმი „დედოფალი მარგო".
16.10. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები".
16.40. გასართობი პროგრამა.
17.00. საინფორმაციო გამოშვება.
17.15. მუსიკა.
18.00. მულტფილმები. ღამის ეთერი.
00.05. დოკ. ფილმი. „სასამართლო პროცესები და დანაშაულებანი".
00.45. მხატვრული ფილმი „პოლიციელი სამიზნე".

18.25. Муз программа „50/50"
19.20. "Девушка по имени Судьба0,
20.15. Человек и закон.
20.45. Поле чудес.
21.45. Спокойной ночи, малыши!
22.00. Время.
22.40. Детективный сериал „СТРОГО НА ЮГ",
23.40. Взгляд.
00.35, Приключенческий фильм „ВОЕННЫЕ ИГРЫ".

## შაბათი 16 აგვისტო

9.00. „ცხრიდან თორმეტამდე" – შემეცნებით-გასართობი პროგრამა.
12.00. მოამბე. „XXI". ქართული მხატვრული ფილმი „ჯადოსნური ღამე". „რეტროპერსპექტივა".
18.00. „მოამბე". „საქართველო და გარესამყარო". „მეტრონომი". საქართველოს კონსტიტუცია.
20.00. „მოამბე".
00.00. „ილუზიონი". ამერიკული მხ. ფილმი „დოქტორი ჟივაგო".

9.00. პროგრამა „დილა". მხატვრული ფილმი „პრინცესის ოქროს ღირსება".
19.00. „ინფორმაცია მეორე არხი".
19.20. საბავშვო გადაცემა „ბიბო".
19.45. ერალაში.
19.55. ველური სამყარო.
20.10. სკოლა.
20.35. ჯაზ-სპორტი.
21.00. სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი".
21.25. მხ. ფილმი „ჯეინ ეარი" (II ნაწილი). პროგრამის დასასრულს კონცერტი.

18.00. კურიერი.
18.15. მულტფილმები.
18.30. „გზა ივლისისაკენ" – საბავშვო სერიალი.
19.20. „ადამსების ოჯახი". – მინისერიალი.
19.50. ტელესერიალი. M.A.S.H.
20.30. BOX OFFICE AMERICA.
21.00. კურიერი.
21.30. „საიდუმლო მასალები" – სერიალი.
22.15. კინოშოუ „ფსიქო". – მხატვრული ფილმი „კოიიკი" და ზონჯები".
01.15. კურიერი. ღამის არხი:
01.35. ინტიმური ფანტაზიები.
02.05. მხატვრული ფილმი „მეტეორიტი".

12.00. მულტფილმები.
12.40. დოკუმენტური ფილმი – „რეპაკუთხედი".
13.30. ინდური მხ. ფილმი „სიყვარულის ბაღი".
15.50. სპორტული პროგრამა „ვარსკვლავები".
16.20. შოუ-პროგრამა „ჯაზ-პარნასი".
17.00. საინფორმაციო გამოშვება.
17.20. მულტფილმები. ღამის ეთერი.
00.05. დოკ. ფილმი „სასამართლო პროცესები და დანაშაულებანი".
00.45. მხატვრული ფილმი „ოთხი ქორწილი და დაკრძალვა".

20.00. Леонид Якубович в телеигре „Колесо истории".
20.50. Сериал „СТРОГО НА ЮГ"
21.45. Спокойной ночи, малыши
22.00. Время.
22.55. Андрей Миронов в фильме „ЧЕЛОВЕК С БУЛЬВАРА КАПУЦИНОВ".
00.50. Фильм И.Бергмана „ШЕПОТЫ И КРИКИ".

## კვირა 17 აგვისტო

9.00. „ცხრიდან თორმეტამდე" შემეცნებით-გასართობი პროგრამა.
12.00. მოამბე. სპა. რეპორტაჟი „პერი". „ტელე-ხიდ-ვიდეო". ამერიკული მხატვრული ფილმი „ორნი". მე და ჩემი აზრიდა" საბავშვო სტუდია გთავაზობთ.
18.00. „მოამბე". სპორტლოტო აფხაზეთის ტელევიზია. „ენერგია"
20.00. ინტელექტუალები „რ...
21.00. „მხედვის".
21.50. „ვიდეოპატრული 02".
22.15. სატელევიზიო კინოდარბაზი.
23.50. „მოამბე".
00.05. ღამის კინოჩვენება: ამერიკული მხ.ფილმი „ბრილიანტის ბ... ბაღი".

9.00. პროგრამა „დილა". ამერიკული მხ.ფილმი „ჩვენებაშე...
19.00. „ტაიმ-აუტი".
19.30. მულტფილმები. გრაცია აერობიკა".
20.00. პოპულა.
20.25. სუპერმაგნი.
21.00. ეკრანი.
21.15. მისია.
21.30. „ვარსკვლავები გვამცნობენ".
21.55. „ტაიმ-აუტი".
22.15. რეკლამა.
22.30. ამერიკული მხ. ფილმი „მალქოლანდის კლდე". პროგრამის დასასრულს – კონცერტი.

18.00. კურიერი.
18.15. მულტფილმი.
18.30. „გზა ივლისისაკენ"
19.20. „მონტი პაიტონი" – მინისერიალი.
20.00. ტელესერიალი M.A.S.H.
20.30. BE BEATIFUL
21.00. კვირა – საინფორმაციო-ანალიტიკური გამოშვება.
21.45. „საიდუმლო მასალები" – სერიალი.
22.35. რეტრომუსიკა.
23.55. მხატვრული ფილმი „ამერიკის პრეზიდენტი".
00.35. კურიერი. ღამის არხი.
01.00. „სიმპსონები".
01.25. „ემოციები".
01.55. მხ. ფილმი „პროსპეროს წიგნები".
04.00. „ინტიმური ფანტაზიები".

12.00. მულტფილმები.
12.40. დოკ. ფილმი „რეპაკუთხედი".
13.30. მხ. ფილმი „დაქირავებული მკვლელი".
15.25. გადაცემა „სტუმრები სპორტსმენებთან".
16.00. სპორტული გადაცემა „ვარსკვლავები".
16.30. „ჯაზ-პარნასი".
17.00. შოუ პროგრამა.
18.00. მუსიკა. ღამის ეთერი
00.05. დოკ. ფილმი „სასამართლო პროცესები და დანაშაულებანი".
00.35. ფილმი „შედლებული სხლი.
02.15. მუსიკა.

18.05. До шестнадцати и старше
18.30. ВОКРУГ СВЕТА.
19.20. "Девушка по имени Судьба"
20.10. Час пик.
20.35. Угадай мелодию.
21.00.Программа В. Познера "ЧЕЛОВЕК В МАСКЕ"
21.45. Спокойной ночи, малыши
22.00. Время.
22.40. Сериал "ПОЛТЕРГЕЙСТ-2"
23.20. Театр + ТВ. К, Райкин
00,20. Шарль Азнавур в фильме Ф. Трюффо "СТРЕЛЯЙТЕ В ПИАНИСТА".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აღიარება



### ჯონ შალიკაშვილი — აკადემიის საპატიო წევრი

5 აგვისტოს საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი დემურ ბაშელეიშვილი შეხვდა აშშ შტაბების უფროსების კომიტეტის თავმჯდომარეს, გენერალ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილს და აკადემიის სახელით გადასცა ჯონ შალიკაშვილის ფერწერული პორტრეტი, რომლის ავტორია საქართველოს სახალხო მხატვარი დავით გაბიტაშვილი. აკადემიის პრეზიდენტმა ძვირფას სტუმარს გადასცა დიპლომი, რომელიც ადასტურებს, რომ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი არჩეულია საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად.

ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილმა დიდი მადლობა მოახსენა მასპინძლებს და აღელვებულმა აღნიშნა, რომ ახლა, ალბათ, მამაჩემის სული ზეციდან დამყურებს და ბედნიერია ჩემთვის ამ მაღალი ტიტულის მინიჭების გამოო.

მეხვედრაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ.

მეხვედრას ესწრებოდნენ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის თანმხლები პირნი, ქართველი გენერლები და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საკუთარი ინფორმაცია

## ჩვენი პრაქტიკუმი

# ბურთისებური (სფერული) ელვა

დედამიწაზე დღე-ღამეში რვა მილიონჯერ ეცემა მეხი (1984 წლის მონაცემებით, ყველაზე ხშირი ელჭექი ინდონეზიის კუნძულ იავაზე სცოდნია, სადაც წელიწადში მხოლოდ 65 დღეა ჭექა-ქუხილის გარეშე).

ელვა — გიგანტური ელექტრული ნაპერწკალი — განმუხტვის შედეგია, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა ელექტრული ნიშნით დამუხტული ღრუბლების დაჯახებით. ელვის სახეობათა შორის ბურთისებრი (სფერული) ელვა ყველაზე იშვიათ, თან გარკვეულად საიდუმლოებებით მოცულ ფორმათა რიგს განეკუთვნება. ორ საუკუნეზე მეტია, მეცნიერები სწავლობენ ბურთისებრ (სფერულ) ელვას, თუმცა მის სრულ ახსნას დღემდე ვერ მიაგნეს. პროფესორი ბ.გუდლეტი ჯერ კიდევ 1937 წელს არწმუნებდა ადამიანებს, სფერული ელვა საშიში არ არისო, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანებსაც ისე გაურბის, როგორც კარგ გამტარებსო (ეს შედარება მთლად ზუსტი არ უნდა იყოს, რადგან ელვაც ხომ ელექტრობაა, გ.მ.). საწინააღმდეგო აზრისაა ფრენკ ლეინი, რომელსაც მიაჩნია, რომ სფერულ ელვასთან მიკარება ძალზე საშიშია. „ფანტასტიკურად“ შორს წავიდა ვინმე ჰემფრისი, რომელიც ამბობს, რომ ბურთისებრი (სფერული) ელვა ოპტიკური ილუზიაა და სხვა არაფერიო.

დავუბრუნდეთ ბურთისებრი ელვის რაობას. წარმოიშობა იგი ჭექა-ქუხილის დროს, უფრო ხშირად — დასასრულს, მეტწილად 10-20 სმ დიამეტრის წითელი, ნარინჯისფერი ან ყვითელი მნათი ბურთის სახით. უფრო დიდი ზომისა იშვიათად გვხვდება. მისი „სიცოცხლის“ ხანგრძლივობა უმეტესად 3-5 წამია, უიშვიათეს შემთხვევაში რამდენიმე წუთი (ცეცხლოვანი ბურთი, რომლის დიამეტრი 50 სმ აღემატება). ბურთისებრი ელვა უფრო დახურული შენობებისაკენ მიიზიდება, თუმცა რატომ — ამის ახსნას მეცნიერები ვერ ახერხებენ. შესაძლოა, წნევათა სხვაობის გამო, რაც არსებობს გარემოსა და შენობის შიგნით სივრცეს შორის. ეს ცეცხლოვანი ბურთი შენობებში ხვდება ღია ფანჯრებით, სარკმლებით, კარებით. ამიტომაც გვირჩევენ, ძლიერი ჭექა-ქუხილის დროს ისინი დავკეტოთ; ამასთან, ქსელიდან გამოვრთოთ ტელევიზორი, რადიომიმღები, საერთოდ, ელექტრული ხელსაწყოები, არ შევეხოთ წყალსადენის მილებს, მოვერიდოთ საკვამლე მხლებიან ღუმელებს. იმის გამო, რომ ბურთისებრი ელვა საკვამლე მილიდანაც შეიძლება მოხვდეს სამზარეულოში ან რომელიმე სხვა ოთახში და ასე დაიწყოს ბინაში „მოგზაურობა“, სასურველია, შენობის გარეთ გამომავალი მილების სავენტილაციო არხების ზემოთა ნაწილში გამოსასვლელთან, ასევე ბუხრის თავზე, 2-2,5 მმ დიამეტრის მავთულისგან დამზადებული ბადეების მოწყობა (დაფარება). იმავდროულად, ამ ბადეების დამიწება არ უნდა დაგვავიწყდეს.

ბურთისებრ (სფერულ) ელვასთან ადამიანების „შეხვედრის“ არაერთი ფაქტია დაფიქსირებული, მათ შორის, ჩვენთანაც, საქართველოში ზოგჯერ საბედისწეროც.

სიფრთხილის რა ზომებს უნდა მივმართოთ?

იმის გარდა, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ჭექა-ქუხილის დროს თუ შენობის გარეთ აღმოჩნდებით, უნდა მოერიდოთ ღია და ამაღლებულ ადგილებს, ლითონის ღობეებს, განმარტოებით მდგომ ხეს. უმჯობესია, ჩაიმალოთ ან ჩაჯდეთ, თუ კი ჩაღრმავებულ ადგილს ან დიდი ქვების გროვას წააწყდებით, ჩახვიდეთ თხრილში ან ღელეში.

და ბოლოს, როგორ მოვიქცეთ, თუ ღმერთი გაწყრა და განგებამ ბურთისებრ ელვასთან შეგვახვედრა? არ უნდა დავიწყოთ წინ და უკან სირბილი, თავი ავარიდოთ მკვეთრ მოძრაობებს. ზოგი ფიქრობს, ბურთისებრი ელვის განდევნა შენობიდან ჯოხით შეიძლება. ეს არამც და არამც არ გააკეთოთ.

თუ ელვამ ადამიანი დააზიანა, გვახსოვდეს, რომ მედიცინა კატეგორიული წინააღმდეგია ხალხში გავრცელებული მეთოდის — დაზარალებულის მიწაში ჩაფლობისა. საჭიროა, პირველადი სამედიცინო დახმარება ხელოვნური სუნთქვის ჩატარებით და უნდა ვეცადოთ, სასწრაფოდ მივმართოთ უახლოეს სამედიცინო დაწესებულებას.

**გიორგი მახარძე**
რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი.



### საგრანსპორტო კორიდორი შუა აზია-კავკასია – ევროპა (TPACEKA) კონკურენციას გაუწევს რუსეთის ევროპული ნაწილის სატრანსპორტო ქსელს

დასავლეთ ევროპის და ყოფილი სსრკ-ს სატრანსპორტო არტერიები სერიოზულ ცვლილებებს განიცდიან. ესენგეს ქვეყნებში ბაზრების ჩამოყალიბება ევროპის ქვეყნების უფრო მეტ და მეტ კომპანიებს იზიდავს. 23 ივნისიდან 25 ივნისამდე ჰელსინკში ჩატარდება მე-3-ე საერთო ევროპული კონფერენცია ტრანსპორტის შესახებ.

მოსალოდნელია, რომ ძირითადად დისკუსია გაიმართება ევროპიდან ესენგეს ქვეყნების სატრანსპორტო კორიდორების შესახებ, რაც საფუძვლად დაედება მომავალი ათასწლეულის სატრანსპორტო გზების განვითარებას.

მე-2 საერთო ევროპულ კონფერენციაზე 1994 წ. დამტკიცებული იქნა 9 ძირითადი სატრანსპორტო კორიდორი, რაც გამოწვეული იყო ახალი ქვეყნების შექმნით სსრკ-ს დაშლის მერე.

ტრანსპორტის კომისიის ანალიტიკოსთა შეფასებით დაწყებითი კაპიტალ-დაბანდებანი სატრანსპორტო კორიდორების მოდერნიზაციისათვის 15 წლის განმავლობაში 90 მილიარდი ეკიუს ტოლი იქნება.

სატრანსპორტო კორიდორი შუა აზია-კავკასია-ევროპა (ტრასეკა) პერსპექტივაში კონკურენციას გაუწევს რუსეთის ევროპული ნაწილის სატრანსპორტო ქსელს. ეს ვარიანტი ითვალისწინებს საქართველოსა და აზერბაიჯანში არსებული სარკინიგზო და საზღვაო გზების გამოყენებით ტვირთების მიწოდებას შუა აზიიდან ევროპაში.

### იძებნება „ნაცისტური ოქრო“

„აშშ და საფრანგეთმა მოილაპარაკეს ჩაატარონ საერთაშორისო კონფერენცია „ნაცისტური ოქროს“ პრობლემის შესახებ“ — განაცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ერვე დე შარეტმა.

კონფერენცია შედგება 1997 წ. შემოდგომაზე ლონდონში. ჯერჯერობით კი საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ აყალიბებენ კომისიებს მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტების მიერ ოკუპირებული ქვეყნების ბანკებიდან გატანილი ოქროს ბედ-იღბლის საძიებლად.

## თანამედროვე მედიცინის მიღწევები

# საქართველოში პირველი „ხელოვნური ბავშვი“ მაისში უნდა დაბადებულიყო, მაგრამ....

## (მოიხსნება უშვილობის პრობლემა?!)

ლონდონში, მადამ ტიუსოს მუზეუმში, 18 წლის ინგლისელი გოგონას ლიზა ბრაუნის ცვილის ქანდაკება დგას სხვა ცნობილ ადამიანებთან ერთად. რით დაიმსახურა ჩვეულებრივმა ინგლისელმა გოგონამ ასეთი პატივი? საქმე ის გახლავთ, რომ ლიზა პირველი „სინჯარის ბავშვია“, ხელოვნური განაყოფიერების შედეგად დაბადებული პირველი დედამიწელი. იგი 1979 წელს მოევლინა ქვეყნიერებას და ახლა უკვე ისეთ ასაკშია, რომ სრულიად ადვილი შესაძლებელია, თვითონაც მალე გახდეს დედა — ესეც მორიგი სენსაცია იქნება.

ამ ფაქტს დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უძღოდა წინ და 1979 წლის შემდეგ ხომ მთელი მსოფლიო მოიცვა — დღეისათვის დედამიწაზე 20-30 ათასი ბავშვია, რომლებიც ხელოვნური განაყოფიერების შედეგად ჩაისახნენ დედის ორგანიზმში და პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ, დღის სინათლე იხილეს. ამ საქმეში პრიორიტეტი ეკუთვნის განვითარებულ ქვეყნებს — ინგლისს, ამერიკას, საფრანგეთს, გერმანიას; მათ რუსეთმაც აუბა მხარი.

სხვათა შორის, სანამ რუსეთში მოჰკიდებდნენ ამ საქმეს ხელს, თბილისში, იოსებ ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (დირექტორი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი არჩილ ხომასურიძე) 1985 წელს დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით. 1987-88 წლებში, ფაქტობრივად, ყველა პირობა იყო შექმნილი მეთოდის პრაქტიკული განხორციელებისათვის. მოსკოვმა გამოყო თანხა (მოგეხსენებათ, მაშინ საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა), შეიძინეს აპარატურა, საზღვარგარეთ სტაჟირებისათვის გაგზავნეს სპეციალისტები... მოსამზადებელი სამუშაო რომ დამთავრდა, სწორედ მაშინ დაიწყო ცნობილი მოვლენები, 5-7 წელი, პრაქტიკულად, უმოქმედობის პერიოდი იყო... და აი, შარშან აპრილში კვლავ განახლდა მუშაობა ამ მიმართულებით.

„– სხვათა შორის, შედეგები ცუდი არ არის, – ამბობს ბატონი არჩილ ხომასურიძე, – ამ ხნის მანძილზე, ხელოვნური განაყოფიერების შედეგად, „მიღებულია“ 10 ორსულობა, მათ შორის ყველაზე დიდი უკვე 5 თვემდეა. საქართველოში პირველი „ხელოვნური ბავშვი“ უნდა დაბადებულიყო ამა წლის მაისში – 36 წლის ახალგაზრდა ქალი, თითქმის 10 წლის უშედეგო მკურნალობის შემდეგ, ტყუპს ელოდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, 7 თვემდე მიყვანილი ორსულობა შეწყდა. საერთოდ, 5 შემთხვევიდან 1 სრულდება წარმატებით — ჩნდება ბავშვი — ასეთია მსოფლიოს სტატისტიკა. მიზეზების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა — უმთავრესი მაინც ის არის, რომ ფეხმძიმე ქალისათვის ყველა სახის პრეპარატის მიცემა არ შეიძლება. გარდა ამისა, დიდი ხნის უშვილობის შემდეგ, ქალს უჭირს ნაყოფის შენარჩუნება და პროცესის ბოლომდე მიყვანა. ასეა თუ ისე, 20 პროცენტი ამართლებს. პაციენტი, რომელსაც 7 თვის მუცელი მოეშალა, ერთ წელს დაისვენებს და ჩვენი ექიმები კვლავ ეცდებიან, დაეხმარონ. იმედი მაქვს, იგი მიაღწევს საწადელს – გახდეს დედა.

სხვათა შორის, ხელოვნური ჩასახვის დროს ხშირია მრავლობითი ორსულობა (ტყუპები) და ამ შემთხვევაში ეს ითვლება არასასურველ გართულებად. ეს იმიტომ ხდება, რომ ძნელია მონიტორინგი, დოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია“.

სამაგიეროდ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას, პრაქტიკულად არ არსებობს ასაკობრივი ზღვარი. აშშ-ს ნორფოლკის სამედიცინო ცენტრში ყოფნისას, ბატონი არჩილ ხომასურიძე ამ მეთოდით თავად მკურნალობდა თურქი მილიონერის ცოლს, რომელმაც „ხელოვნური ბავშვი“ 52 წლის ასაკში შვა. ამას წინათ კი გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ ხელოვნური განაყოფიერების შედეგად, 63 წლის ქალი, მრავალი წლის უშედეგო მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, დედა გახდა. ეს ფაქტი ერთგვარად კურიოზულიც იყო — ქალმა, იმის შიშით, რომ პროცედურის ჩატარებაზე უარს ეტყოდნენ, ექიმები მოატყუა, 52 წლის ვარო.

ხელოვნური განაყოფიერების მეთოდი ძალზე ძვირადღირებულია და ელიტარულად ითვლება, ამიტომ ბევრი კლინიკა მის გამოყენებაზე უარს ამბობს. აშშ-ს წამყვან ცენტრში, ნორფოლკში, 1 პროცედურა უგარანტიოდ დაახლოებით 10-12 ათასი დოლარი ჯდება, გერმანიაში 5-6 ათასი დოლარი, მოსკოვში 3-4 ათასი, ჩვენთან კი, ჟორდანიას ინსტიტუტში 800-1200 დოლარი. საზღვარგარეთ ექიმის მომსახურება 10-ჯერ ძვირია, ვიდრე ამ პროცედურისთვის საჭირო წამლები, ჩვენი ექიმები კი 1 პროცედურაში 100-150 ლარს რომ იღებენ, იმითაც ბედნიერები არიან და გადასახადის დიდი ნაწილი, ძირითადად, ძვირადღირებულ წამლებზე მოდის.

არ ვიცი, რამდენად გამართლებულია ბავშვის ჩასახვის ეს მეთოდი რელიგიური თვალსაზრისით – როგორც ბატონმა არჩილ ხომასურიძემ მითხრა, მართლმადიდებლური ეკლესია არ გმობს მათ მოღვაწეობას, ბავშვი ხომ დედის კვერცხუჯრედისა და მამის სპერმის ხელოვნური შეერთების შედეგად ისახება; ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ყველა ქალს აქვს უფლება, განიცადოს დედობის სიხარული და მედიცინა, მის ხელთ არსებული საშუალებებით, უბრალოდ, ვალდებულია, დაეხმაროს ოჯახებს, რომელთაც წლების მანძილზე ოცნებად ექცათ შვილი...

შუა საუკუნეებში ალქიმიკოსებს მიაჩნდათ, რომ ხელოვნურად შეიძლება „მიღებულიყო“ ადამიანის მსგავსი არსება ჰომუნკულუსი. მათი წარმოდგენა არცთუ ისე მცდარი აღმოჩნდა...

**ნინო ლურსმანაშვილი**



## ლეონიდ ილიჩი ცოცხალია!

სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ჭორის დონეზე შევიტყეთ, რომ ცნობილი „გენსეკი" ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი დღემდე ცოცხალია. თურმე, ის ჯერ კიდევ 70-იან წლებში ჩამოსცილებია პოლიტიკურ მოღვაწეობას, კრემლში თავისი ორეული დაუტოვებია და თავად ტომსკის ოლქის მიტოვებულ საფუტკრეში (?!) დასახლებულა.

ასეა თუ ისე, ადგილობრივი მცხოვრებლები იწმუნებიან, რომ ერთ-ერთ საფუტკრეში ნამდვილად ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც ბრეჟნევივით გადაბარჯღული წარბები, ბუბუნა ხმა და ... მოქცეული ყბა აქვს და უცხო თვალს განსაკუთრებული გულმოდგინებით ემალებაო.

## ბომჟის ძარღვებში არაყი აჩქეფდა



65 წლის ბომჟი ნიკიფორე იგორის ძე გოლოვკო, რომელიც მოსკოვის ყაზანის ვაგზალზე მუყაოს ყუთში ცხოვრობს, ამას წინათ ჟურნალისტების წინაშე გამაოგნებელი განცხადებით წარსდგა: ჩემს ძარღვებში აგერ უკვე ათი წელია არაყი (?!) ჩქეფსო. ყველაფერი კი მას შემდეგ მოხდა, რაც ნიკიფორეს „საპატიო დონორის" ნიშანი მიაბნიეს მკერდზე და მანაც აქტიურად დაიწყო სისხლის ჩაბარება. და რადგანაც დონორობის შემდეგ ძალების აღდგენის ჩინებულ საშუალებას, თურმე, არაყი წარმოადგენს, ნიკიფორეც ყოველდღე. რეგულარულად ყლურწავდა „სტოლიჩნაიას" თითო ბოთლს, რასაც წლების შემდეგ ორგანიზმში ერთი ნივთიერების მეორით შენაცვლება მოჰყვა.

თავად ნიკიფორემ ამ ფენომენზე მას შემდეგ შეიტყო, რაც ბოთლზე ფეხი გადაახია და, ჩვეულებისამებრ, ჭრილობიდან სისხლის გამოწოვა სცადა. უნდა გენახათ ბომჟის გაოგნება, როცა პირში არყის სასიამოვნო და ცხოვრებ სახურველი გემო იგრძნო.



## ბებრუხანა თადარიგში ჩარიცხეს.

ნორვეგიელმა სამხედრო ჩინოვნიკებმა ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ მათი თანამემამულე 98 წლის ქალბატონი გილა კალანდი გინესის წიგნში შეტანის კანდიდატი გამხდარიყო. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც გილამ ტრაქტორი შეიძინა, რითაც საზოგადოებრივად სასარგებლო ტრანსპორტის მფლობელი გახდა. ქვეყნის კანონმდებლობით კი ასეთი ტრანსპორტის ყოველი მფლობელი სამხედრო აღრიცხვაზე უნდა აიყვანონ პოდა ადგილობრივი სამხედრო კომისარიატის გამჭრიახი თანამშრომლებიც, რომლებიც თვით „ახალწვეულის" საკმაოდ ხოლიდურ ასაკსაც არ შეუკრთია, სწორედ ასე მოიქცნენ: ქალბატონმა კალანდმა წერილობით შეტყობინება მიიღო იმის თაობაზე, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ტრაქტორით უნდა გამოცხადდეს მობილიზაციის ადგილზე. თავის მხრივ, ქალბატონი მტკიცედ შეჰპირდა სამხედროებს, რომ მუდამ სრულ მზადყოფნაში იქნება.

## ლოთმა სპილომ მთელი სოფელი ხორთუმზე „წამოიცვა"



ინდოეთში, სოფელ ბიხარის 44 წლის მცხოვრებმა რაჯიმ, შრომისნაყოფიერების ამაღლების მიზნით (?!) თავისი სპილო ალკოჰოლს მიაჩვია. საქმე ბოლოს იქამდე მივიდა, რომ თუ სპილო მუშაობის დაწყებამდე ერთ ვედრო არაყს არ გადაყლურწავდა, თითსაც, უფრო ზუსტად კი ხორთუმსაც, კი აღარ ანძრევდა.

მას შემდეგ, რაც რაჯი ავად გახდა, სპილო მისი სოფლელის ხელში აღმოჩნდა, რომელიც წვეთს არ სვამდა. ითმინა სპილომ, ითმინა და როცა ახალმა პატრონმა მეათედაც ხორთუმთან უბრალო წყლით სავსე ვედრო მიუტანა, თავად მონახა გამოსავალი და უახლოეს დასალევ დაწესებულებას მიაშურა, სადაც ისე „გამოიბრუჟა", რომ თავად დაწესებულებაც და ახლო-მახლო ქოხებიც სულ ნაფოტებად აქცია.



## ოლღას პირი ყურებამდე გაეხა

ყველაზე „გრძელი" ღიმილი – ასე ერქვა კონკურსს, რომელიც ახლახან გაიმართა მოსკოვის ერთ-ერთ პლაჟზე. კონკურსის ადგილზე მასში მონაწილეობის და სეირის ყურების მსურველებიც ბლომად შეიკრიბნენ.

კონკურსის მონაწილეებიდან, – განაცხადა მისმა ინკოგნიტოდ დარჩენილმა ორგანიზატორმა, – ჩვენ საუკეთესო, 16 წლის ოლღა ვორობიოვა შევარჩიეთ – მისი ღიმილის „სიგრძემ" ხომ, არც მეტი, არც ნაკლები, 14 სანტიმერი (!) შეადგინა.

თურმე, ღიმილის „სიგრძე" სპეციალური ხელსაწყოთი იზომებოდა, რომლის ეკრანზეც მკაფიოდ ჩანს, რომ ოლღას პირი მართლაც ყურებამდე აქვს გახეული.

**ორშაბათი მძიმე დღეა — გაიღიმეთ!**

# ლოთი ხარ, ლოთი?!..

*ლოთი ვარო, ვინ იტყვის საკუთარ თავზე. მაგრამ, ალბათ, არც ერთ მამაკაცს არ აწყენდა სასმელისადმი საკუთარი ლტოლვის დონის შემოწმება. მაშ, ასე, მამაკაცებო, გულახდილად უპასუხეთ:*

1. ამ ბოლო ხანებში ხელებმა უფრო ხშირად დამიწყო კანკალი:
*დიახ, არა.*
2. ხანდახან, განსაკუთრებით დილაობით, სულისხუთვისა და გულისრევის შეგრძნებები მაქვს:
*დიახ, არა.*
3. მე ამ შეგრძნებების ალკოჰოლით „განკურნება" ვცადე:
*დიახ, არა.*
4. ამჟამად მთლიანად ჩემი პრობლემებითა და სირთულეებით ვარ დაკავებულ-შეწუხებული:
*დიახ, არა.*
5. არც ისე იშვიათად სპირტიან სასმელებს ჭამამდეც ვსვამ:
*დიახ, არა.*
6. საკმარისია, ერთი ჭიქა დაელიო, რომ კიდევ და კიდევ დალევის დაუძლეველი სურვილი მიპყრობს:
*დიახ, არა.*
7. დალევაზე ძალიან ხშირად ვფიქრობ:
*დიახ, არა.*
8. მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა კატეგორიულად ამიკრძალა, ხანდახან მაინც ვსვამ:
*დიახ, არა.*
9. რაც მეტს ვსვამ, მით ნაკლებს ვჭამ:
*დიახ, არა.*
10. სმის გამო უკვე სამსახურშიც მომცეს შენიშვნა:
*დიახ, არა.*
11. უფრო ხშირად მარტოს მიყვარს დალევა:
*დიახ, არა.*
12. რაც მეტს ვსვამ, მით ნაკლებს ვმუშაობ:
*დიახ, არა.*
13. დალევის შემდეგ უკვე არაერთხელ დამეუფლა დანაშაულის გრძნობა და სინდისის ქენჯნა:
*დიახ, არა.*
14. ერთხანს დალევის რაღაცა სისტემის შემუშავებაც კი ვცადე:
*დიახ, არა.*
15. მეჩვენება, რომ ცოტა სმას უნდა მოვუკლო:
*დიახ, არა.*
16. ალკოჰოლი რომ არა, ბევრად ნაკლები პრობლემები მექნებოდა:
*დიახ, არა.*
17. ხანდახან მხოლოდ იმიტომ ვსვამ, რომ დავმშვიდდე:
*დიახ, არა.*
18. მეჩვენება, რომ ალკოჰოლი ცხოვრებას მინგრევს:
*დიახ, არა.*
19. ხან მინდა სმისთვის თავის დანებება, ხან – არა:
*დიახ, არა.*
20. ვერავინ მიგებს, თუ რატომ ვსვამ.
*დიახ, არა.*
21. რომ არ ვსვამდე, ბევრად უკეთ შევეწყობოდი ჩემი ცხოვრების თანამგზავრს:
*დიახ, არა.*
22. უკვე ვცადე, ცოტა ხანს უალკოჰოლოდ გამეძლო:
*დიახ, არა.*
23. რომ არ ვსვამდე, საკუთარი თავით ნამდვილად კმაყოფილი ვიქნებოდი:
*დიახ, არა.*
24. უკვე არაერთხელ მითხრეს, რომ სასმელის სუნით ვარ გაჟღენთილი:
*დიახ, არა.*

შედეგები:

*თუ 11 და მეტი დადებითი პასუხი დაგიგროვდათ, სერიოზულად უნდა დაფიქრდეთ, რადგან გალოთების ნამდვილად დიდი შანსი გაქვთ.*

**ტესტი მამაკაცებისათვის**



გვერდი მოამზადა **რუსუდან ლებანიძემ**

# კროსვორდი



*ვერტიკალურად:* 1. მოთელილი მატყლისაგან დამზადებული წამოსასხამი; 2. ანტილობა; 3. ა.ბუვიეს რომანი; 4. მსხვილი მახრჩობელა გველი; 5. სიმებიანი საკრავი; 7. მიწაში ამოთხრილი, ამოღრმავებული ადგილი; 9. ქარისაგან ჰაერში ატანილი თოვლი ან მტვერი; 10. დაკოდილი ცხენი; 12. გოგო (დამცირებით); 13. სახალხო პოეტი-მომღერალი ყაზახეთსა და ყირგიზეთში; 14. კარგი ამინდი; 17. მაგარი წვეტიანი გამონაზარდი ზოგიერთი მცენარის ტანზე; 18. თეფშის მსგავსი სპილენძის მუსიკალური დასარტყმელი საკრავი; 19. მავთულის ან რკინის ბადით შემოზღუდული სადგომი ცხოველებისა და ფრინველებისათვის; 20. რაიმე სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა; 22. გამომწვარი თიხის ბლოკი, საშენი მასალა; 24. იგივეა, რაც ბრინჯაო; 26. გასვენებაზე შორიდან მოსული ჭირისუფლის მხლებლები; 27. გაუნათლებელი, გულუბრყვილო; 29. დაფა, რომელზედაც წარწერილია წარმოების, დაწესებულების სახელწოდება; 33. უძველესი ცივილიზაცია მექსიკაში; 34. მამალი ღორი; 36. გემზე სასწრაფო მუშაობა, როცა მთელი ეკიპაჟია გამოძახებული; 37. ქალაქის ტიპის პატარა დასახლება; 39. ბალახი ყვითელი პრიალა ყვავილებით; 41. მაგარი ქანი, მთლიანი ან ნატეხის სახით; 42. მუხის ნაყოფი; 43. ბედი, ბედისწერა

*ჰორიზონტალურად:* 1. მოკლეტარიანი, რკალად მოხრილი სამკელი იარაღი; 4. ბეჭედი ან სხვა სამკაული, სასიძოს მიერ საპატარძლოსათვის მირთმეული, იმის ნიშნად, რომ ქალს ირთავს; 6. შტო, ტოტი; 8. დათვი, მაუგლი (ფილმი); 9. მგზავრის ტვირთი, ჩალაგებული და ტრანსპორტით გასაგზავნი; 11. თუთიყუში; 12. შეუბრალებელი, ულმობელი, უწყალო; 13. მუსიკალური ნოტი; 15. მწერალ მოსაშვილის სახელი; 16. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი, რომელშიც ცალ მუხლზე დგე...ან; 18. უდაბნო აზიაში; 19. მეტისმეტად ულამაზო, მახინჯი; 21. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები; 23. შუბი ერთგვარი; 25. სოფელი გალის რაიონში; 28. ჭრილობა, წყლული; 30. ნაცარტუტაში გამოხარშული ხის სოკო; 31. თეატრის მსახიობთა დროებითი კოლექტივი; 32. მაჰმადიანთა სულიერი მოძღვარი; 35. თმის სალებავი; 37. კავშირი; 38. ნაკურთხი წყალი; 39. იგივეა, რაც ბეგი; 40. ერთი ხელობის ოსტატ-ხელოსანთა გაერთიანება; 43. ხვიარა ბალახოვანი მცენარე კანაფისებრთა ოჯახისა; 44. სოფელი ქართლში; 45. უსაქმოდ მოხეტიალე, მოხულიგნო ახალგაზრდა; 46. საწარმო, დაწესებულება, მშენებლობა.

შეადგინა **ჯ. იაკობაშვილმა**


## იყიდება

აგარაკი სოფელ გლდანში
ორსართულიანი კაპიტალური სახლი 9 მეასედი მიწის ფართით, ხეხილის ბაღით. ფასი შეთანხმებით ტელ.: 66-47-23

ტრაქტორი თავისი მისაბმელით (შეფუთული) – პერმის გამოშვება (**Мотоблок "Луч" МБ** 5040) დარეკეთ 39-86-27. სოსო

## ქირავდება

ორიგინალური პროექტის ბინა ქალაქის ცენტრში – მაღაზია „ელექტრონიკასთან" უცხოელებზე. შესაძლებელია სარემონტო სამუშაოების საკუთარი გემოვნებით ჩატარება. ცნობებისათვის დარეკეთ.
64-69-17; 93-31-56. ნინო.


## დალი რურუას ხსოვნას

ძალიან გვიჭირს შენი წარსულში მოხსენიება, ჩვენო დალი. ტკივილი, რომელიც ჩვენს გულს მიაყენე, მოუშუშებელია. სულ სხვა ყოფილა ბავშვობის სიყვარული, ჩვენ ხომ ერთად გაზრდილები ვართ.

გემშვიდობებით

შენი მარინა და ციური ჯაშიაშვილები,
ვაჟა კიკაძე და ვიტალი თვალაბეიშვილი